



ეზმარ  
საბავშვო ჟურნალი  
№ 5 მაისი 1966 წ.

619  
1966



პროლეტარებო ყველა ქვეყნისა. შეერთდით!

# ეკოუა

№ 5 (178) მაისი, 1966 წ.

გამოცემის XVI წელი.

სოციალისტური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სალიბერალური-საბუნებისმეტყველო ჟურნალი

# ბჭეში ქ სკოპრუსში

საქმის წარმატება ახლა გვიხად პრის დამოკიდებული ხელშეწყობა  
ლი და ინჟინერ-ტექნიკური კადრების ინიციატივამ, სამშრომლობა და  
რეპარატიულობაზე, ეკონომიური განვითარების რთული პროცესების  
დაწყვიტვისადაც გახადულ ვიდეომანა, გავიხადის შესრულებისათვის.  
წარმოების ეფექტიანობის მახინჯალური გადმოცემისათვის **ბჭეში ქ**  
კოლექტივის დაბრუნების უნარზე.

სკკ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ანანაგ  
ლ. ი. ბრენცივის საანგარიშო მოხსენებიდან სკკ XXIII  
ურბლობაზე.

ეს ქარხანა ჩვენი რესპუბლიკის ერთ-ერთი დიდი  
საწარმოა. აქ აკეთებენ ელმავლებს — რკინა-  
ელექტრონის ბუმბერაზებს, რომლებიც მთელს  
ჩვენს უზარმაზარ სამშობლოში დააქროლებენ ასე-  
ულ ათასობით ტონა ტვირთს, ასეულ ათასობით  
ადამიანს.

პარტიის XXIII ურბლობის მდღევარე დღებ-  
ში, როცა ჩვენი სამშობლოს წინ ცხოვრების სულ  
ახალი, ნათელი პერსპექტივები იშლებოდა, თბი-  
ლისის ვ. ი. ლენინის სახელობის ელმავალსაშენ-  
ბელი ქარხანაც ისეთივე აღფრთოვანებით, ისევე  
ახლებურად შეუდგა მუშაობას, როგორც ყველა  
სხვა საწარმო, კოლექტივი თუ დაწესებულება.

თბილისელმა ელმავალსაშენებლებმა ჯერ კიდევ  
ურბლობის გახსნის დღეს — 29 მარტს უპატაკეს  
სამშობლოს, რომ მათ ორი დღით ადრე შეასრუ-  
ლეს მარტის დავალება და გეგმის გადაშეცემით  
გამოუშვეს რამდენიმე ელმავალი. ეს ჩინებული  
პატაკი იყო, მაგრამ ელმავალსაშენებლები მაინც  
ვერ დაჰკაყოფილა ამ მიღწევებმა. რაღაც ახლის,  
რაღაც უფრო მეტის გაკეთება იყო საჭირო, რაც  
ხელს შეუწყობდა ახალი ხუთწლიანი გეგმის დავა-  
ლებათა ვადამდე და გადაჭარბებით შესრულებას.  
ქარხნის დირექტორი გიორგი სამხარაძე მთელი  
დღეები სამჭროებიდან არ გამოდიოდა, ესაუბრე-  
ბოდა მუშებს, ძველსა და გამოსდილ ოსტატებს  
(ფოტო № 1). მათთან ერთად იხილავდა, მათთან  
ერთად ეძებდა ამ ახალ გზებს, რომლებიც მთელი  
კოლექტივის და ქარხნის ხელმძღვანელობის გაბე-  
დულ მხარდაჭერას მოითხოვდა.

და აი ჯერ კიდევ ურბლობის მუშაობის დღეებში,  
ქარხნის პარტკომის მდივანთან კ. გურულთან, ელმ-  
ქრომანქანების საამქროს ოსტატები მივიდნენ,  
მათ მდივანს წერილი გადასცეს, სადაც ისინი პარტ-  
კომს, დირექციასა და ქარხკომს მიმართავდნენ:  
ჩვენ, საამქროს ოსტატებმა ღრმა ანალიზი გავუ-  
კეთეთ საკუთარ მუშაობას და მივედით შემდეგ  
დასკვნამდე: წარმოება რომ რენტაბელური გახდეს,  
პირველ რიგში უნდა მივადწიოთ რიტმულობას,  
რომლისთვისაც ბრძოლაში უმთავრესი როლი ჩვენ,  
ოსტატებმა უნდა შევასრულოთ.



ეს ნამდვილად ცხოვრებისაგან ნაკარანხევი ინი-  
ციატივა იყო. ადრე ქარხნის ოსტატები ყოველ-  
თვის როდი იჩენდნენ ხელქვეითებისადმი მომ-  
თხოვნელობას, ვერ ტვირთავდნენ მათ სამუშაოთი,  
ნაკლებად ამარაგებდნენ იარაღითა და მასალებით;  
ეს კი იწვევდა იმას, რომ პირველ ორ ათდღიურში  
მუშაობა ნელა, ზღაპრით მიდიოდა, ხოლო უკა-  
ნასკნელ დეკადაში იწყებოდა ნერვიულობა, ფაც-  
ფუცი, იერიში, რაც იწვევდა შეცდომებს და ზოგ-  
ჯერ წუნსაც.

ეს წერილი მაშინვე განიხილა ქარხნის პარტიულ-  
მა კომიტეტმა. გადაწყვიტეს ოსტატთა ეს ინი-  
ციატივა ფართოდ გაეცემებინათ ყველა საამქ-  
როში და იგი თვითთელი მუშაკისათვის გაეცნოთ.  
ქარხნის მთავარმა ინჟინერმა აპოლონ მასხარა-  
შვილმა (ფოტო № 2) ბევრი იანგარიშა, ითვალა  
და მტკად კმაყოფილი დარჩა მიღებული შედე-  
გებით. ხუმრობა საქმე ხომ არ არის: ამ ინიცია-  
ტივის განხორციელებით ამაღლდება შრომის ნა-  
ყოფიერება, შეიქმნება მშვიდი, ნორმალური მუ-  
შაობის ატმოსფერო, აღიკვეთება შედმეტი ფუს-  
ფუსი და ნერვიულობა, უკეთესი პირობები შე-  
იქმნება დინჯი შემოქმედებითი ძიებისათვის, ამა-  
ღლდება თვითთელი მუშის პასუხისმგებლობა, გა-  
იზრდება ოსტატის როლი და ავტორიტეტი. ამის  
შედეგი ის იქნება, რომ უფრო მეტი რაოდენობით  
გამოუშვებენ ელმავლებს.

მერედა, რა ელმავლებს გამოუშვებენ ქარხანა  
უკვე შეუდგა საკუთარი კონსტრუქციის მსოფ-  
ლიოში პირველი მაღალი ძაბვის ელმავლების მშე-  
ნებლობას, რომლებიც მუდმივ დენზე იმუშავებენ.  
ქარხნის კონსტრუქტორებს საქმე თავსაყრელად  
აქვთ. მთავარი კონსტრუქტორი ე. ამირაგოვი, რომ  
იტყვიან, ათენებს და აღამებს საკონსტრუქტორო-  
ში. აი ახლაც ა. ამირაგოვი, ინჟინერ-კონსტრუქ-  
ტორ გ. დეკანოძისთან ერთად, საკმაოდ რთულ  
ტექნიკურ საკითხს წყვეტს (ფოტო № 3). წინ კი-  
დევ რამდენი ასეთი საკითხია გადასაჭრელი, რომ-  
ლებიც მათგან გაბედულ, შემოქმედებით მიდგომას  
მოითხოვენ.

მაგრამ ელმავალსაშენებლები ისეთი ხალხი რი-  
ლია, სიძნელეებს შეუშინდნენ. მათი ინიციატივა,  
მათი შრომითი შემართება იმის საწინდარია, რომ  
ისინი სახელგანთ წარმატებებს მიაღწევენ, ხოლო  
მათი თაოსნობა კი ვასცდება მათ ქარხანას, მათ  
რაიონს და მთელი ჩვენი რესპუბლიკის საწარმოთა  
კუთვნილებად იქცევა.



ფოტო მ. თურბინსი

საქ. მსს. კ. მარქსის  
სახ. სახ. ნესპუბ.  
ბიბლიოთეკა






სოფლის მეურნეობის მექანიზაციის, კომუნიკაციისა და ელექტროფიკაციის საფუძველზე უნდა გააძლიეროთ შრომის ნაყოფიერება, თანეფექტურობა, თანდათანობით დაგეგმვით სოფლის მეურნეობა ტექნიკური აღჭურვილობისა და წარმოების ორგანიზაციით მრავალჯერადი აღწერა

სკკ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდიანის მხანავ ლ. ი. ბრენევის საანგარიშო მოხსენებთან სკკ XXIII ყრილობაზე.

ეროვნული  
საბჭოთა  
სოციალისტური  
საბჭო

# გზაუბი, სუსილი ქაქიქია



მცხეთის ზემოთ ასფალტისანი გზა ორად იყოფა. თუ თქვენ მხარმარცხნივ გადაუხვევთ და გორისაკენ მიმავალ გზატკეცილს დაადგებით, თვალუწვდენელ ფართობებზე გაშლილ ზვრებსა და ხეხილის ბაღებს დაინახავთ. ეს მიწები მცხეთის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობას ეკუთვნის. მეურნეობის სავარგულებს 2.500 ჰექტარი უჭირავს. ალბათ გაგიკვირდებათ, როცა გაიგებთ, რომ 705 ჰექტარ ვენახს, 128 ჰექტარ ხეხილის ბაღებს, 800 ჰექტარზე მეტ სახნავ-სათესს, სადედე და სანერგე მეურნეობებს მხოლოდ 500-მდე მუშახელი აულის.

როგორ მიაღწევს საბჭოთა მეურნეობის მშრომელთა წარმოების მაღალ დონეს და შრომის ნაყოფიერების ზრდას?

მცხეთის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის წარმატების ერთ-ერთი საწინდარი შრომატევადი სამუშაოების მთლიანი მექანიზაცია გახლავთ. გარდა ამისა, საბჭოთა მეურნეობაში უკანასკნელ ხანებში დიდი ყურადღება ექცევა ქიმიზაციასა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოებაში ელექტროფიკაციის გამოყენებას.

საბჭოთა მეურნეობის ზვრებსა და ხეხილის ბაღებში მავნებლებისა და დაავადებების წინააღმდეგ ფართოდ იყენებენ სხვადასხვა შხამ-ქიმიკატებსა და ახალ ჰერბიციდებს. მათი შეფრქვევა და შესხურება მთლიანად მექანიზებულია. პირველ სურათზე თქვენ ხედავთ საბჭოთა მეურნეობის მუშებს, რომლებიც ხელით შრომის ნაცვლად, სპეციალური მანქანა-დანადგარის საშუალებით წამლავენ ხეხილებს.

მცხეთის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობაში საქართველოში პირველად გამოიყენეს ახალი ჰერბიციდი სიმანი. ამ ცდამ კარგი შედეგი გამოიღო. როგორც გამოიკვია, სიმანიის შეფრქვევა, სამ წელიწადში ერთხელ თურმე სავსებით საკმარისია, რომ ვაზი დაავადებისაგან დაცვას. ამ ჰერბიციდის გამოყენებამ საბჭოთა მეურნეობას ხელი შეუწყო დაეზოგა ზედმეტი შრომა და დრო, გაეიფექტიანა პროდუქცია.

უკანასკნელ ხანებში მეურნეობაში ფართოდ იყენებენ ელექტროენერგიას. ნამყენის შესახორციებლად წინათ აქ სპეციალურ სათბურებს აგებდნენ. დამუშობილი მასალა ჭიხურებში შექმნდათ, დუმელებს ანთებდნენ და სანაყოფე კვირტის აღმოცენებამდე ორი კვირა მორიგეობას აწესებდნენ, რომ სათბურში საჭირო ტემპერატურა დაეცვათ.

ამ სამუშაოს ახლა ელექტროენერგია ახრულებს. ნამყენებს ყუთებში ათავსებენ, სპეციალური მოწყობილობის მეხმარებით ელექტროენერგიის წყაროს უერთებენ, რითაც მნიშვნელოვნად იზოგება ხარჯები და დრო.

სკკ XXIII ყრილობის მუშაობის დღეებში საბჭოთა მეურნეობაში სასახარულო ცნობა მოვიდა. მეურნეობის მერგოლურს ფირფხ სოხაშვილს სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა. ეს მაღალი ჯილდო მეურნეობის ყველა მუშის თავის პირად გამარჯვებადაც მიაჩნია.

მიმდინარე წლის ბოლოს მეურნეობას 400 ჰექტარი სარწყავი მიწები შეემატება. მდინარე ფრონა, რომელიც ქსანს უერთდება, საბჭოთა მეურნეობის მშრომელთა ხალხის სამსახურში ჩააყენეს.

მეურნეობის ტერიტორიაზე შენდება წყლის საქაჩავი აგრევატი (სურათი 2-8).

მექანიზაციის, ქიმიზაციისა და ელექტროფიკაციის საფუძველზე საბჭოთა მეურნეობამ უმოკლეს ხანში დიდ სამეურნეო წარმატებებს მიაღწია. საბჭოთა მეურნეობამ გასულ წელს 228 პროცენტით შეასრულა სახელმწიფოსათვის ყურძნის ჩაბარების გეგმა. მოგებამ ერთ მილიონ მანეთს მიაღწია. ცენტრერი ყურძნის თვითღირებულება 8 მანეთითა და 47 კაპიკით შემცირდა, შრომის ნაყოფიერება კი 5 პროცენტით გაიზარდა.

მაგრამ საბჭოთა მეურნეობის მშრომელთა იციან, რომ წინ კიდევ ბევრი რამ არის გასაკეთებელი. სკკ XXIII ყრილობამ მათ წინაშე ახალი გრანდიოზული ამოცანები დასახა. ისინი მზად არიან თავდადებით იშრომონ ამ ამოცანების შესასრულებლად.



ფოტო მ. არჩვაძისა

# ქართული რევოლუციური ლევ



ფოტო  
მ. არჩვაძისა



ჩვენი ძველანა სამუშაო, პარტიული, სახელმწიფო, დიპლომატიური სახელო მუშაობისათვის, მთელი საზოგადოებრივი საქმიანობისათვის კადრებს უმთავრესად უმაღლესი სკოლის მიერ მომზადებულ სპეციალისტთა უზრუნველყოფას. ჩვენი სპეციალისტები არა მარტო სწავლას უზრუნველყოფენ, არამედ დაუფლებენ თავიანთ სპეციალურ კვალით უმაღლესი საზოგადოებრივი განვითარების, განვითარების, განვითარების საბაზო პოლიტიკის განხორციელებას, აქონდით ფართო პოლიტიკის.

სკკ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეუნევის საანგარიშო მოხსენებიდან სკკ XXIII ყრილობაზე.

თარგმნოს გერმანული, იტალიური, ესპანური, შვედური, სლოვაკური, პორტუგალიური, რუმინული, სპარსული, არაბული, ებრაული ენებიდან.

ეს ქალიშვილი (სურ. 8) გულმოდგინედ ემზადებოდა მოხსენებისათვის. მისმა მასწავლებელმა გულნარა ჩიკვაძემაც წინასწარ გადაიკითხა მისი მოხსენება. ნაწი ჯიშიაშვილი ბიოლოგიური ფაკულტეტის ფრიადოსანი სტუდენტია, თავისი სპეციალობის გარდა, მას იტაცებს მუსიკა; ამ ბოლო ხანებში კი ძლიერ საინტერესო საქმეს მოჰქიდა ხელი. ნაწი ოცნება თარგმნოს აკადემიის ნაკვეთები ინგლისურ ენაზე.

როგორც ჩვენს, ისე უცხოურ შურნალ-გაზეთებში ახლა ძალიან ბევრი საინტერესო რამ იბეჭდება ფიზიკის დარგში. ფიზიკის ფაკულტეტის სტუდენტის ოთარ ხარაშვილის (სურათი 4) წიგნების თარი სავსეა ახლად მიღებული სპეციალური წიგნებითა და შურნალებით (მასწავლებელი ლილა ცერცვაძე).

პროფესორ-მასწავლებლები (სურათი 5, წინა რიგში) ინტერესით უსმენენ თავიანთ სტუდენტებს.

სტუდენტთა ყრიამული ავსებს დერეფნებსა და აუდიტორიებს. აი, კინოკლუბი; აქ ახლა საქმიანი ფუსფუსია — ზეპირი შურნალის მოსასმენად მოგროვილან. შემდეგ უჩვენებენ ფილმს, რომლის სიტყვიერ მასალას სტუდენტები გადასცემენ ინგლისურ ენაზე.

კლუბი სავსეა პროფესორ-მასწავლებლებითა და ახალგაზრდებით. ზეპირი შურნალის კითხვა კარგა ხანია ტრადიციად დამკვიდრდა უნივერსიტეტში. დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტზე გამართული ბევრი საინტერესო შურნალის კითხვისას დამსწრები მოწმენი იყვნენ იმისა, თუ როგორ შესანიშნავად ფლობენ უცხო ენებს სპეციალური ფაკულტეტის სტუდენტები.

მაგრამ აქ ახლა არასპეციალური ფაკულტეტების სტუდენტებს მოუყრიათ თავი — ფიზიკის, ქიმიის, გეოლოგიის, აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტების სტუდენტები წაიკითხავენ მოხსენებებს ინგლისურ ენაზე; დისკუსიაც მხოლოდ ამ ენაზე გაიმართება.

აი, კათედრაზე ადის გეოგრაფია-გეოლოგიის მეოთხე კურსის სტუდენტი კახა ბილაშვილი (სურათი 1). კახას სწორად დაინახავთ ფაბრიკებსა და ქარხნებს; აქ იგი რედაქციის დავალებით არის მოსული, წერს ნარკვევებს, წერილებს, რეპორტაჟს. ამას გარდა, შურნალ-გაზეთებში იბეჭდება მისი თარგმანებიც ინგლისური ენიდან.

კახა უნივერსიტეტში ბიბლიოლოგიის სპეციალობას ეუფლება.

ინგლისური ენის მასწავლებელი ნათელა დოლიძე აუღელვებლად უსმენს თავისი სტუდენტის გამოსვლას. იცის, რომ მას არ გაუჭირდება.



პროფესორ-მასწავლებელთა ჯგუფი. მარცხნიდან — კათედრის გამგე რუსულან გაჩეჩილაძე, ლილა ცერცვაძე, ფიზიკის ფაკულტეტის დეკანი კურამ ჭილაშვილი, ნანა მუსხელიშვილი, გულნარა ჩიკვაძე, ჯულიეტა დვამიანაძე, ცილა მისურაძე, ნათელა დოლიძე და მერაბ შევარდნაძე.



# კორესპონდენტი კომუნისტური პარტიის კავშირები

პარტიას მუშავს კომპარტიის, ავიატორთა, შერეული, ტელევიზიის, რადიოს, თეატრის მუშაკთა შენახვის კარგები, მუშაკთა მარტალა მს პარტიის ოპროს ფონდია, როგორც უნდა გავფრთხილდეთ, მკრუნველად მოვუაროთ და სწორად გამოვიყენოთ.

სკკ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდიანმა მ. ი. ბრეჟნევის საანგარიშო მოხსენებებში უკრლობაზე.

კორესპონდენტსა და ჟურნალისტზე უფრო მოუსვენარი და დაუცხრომელი კაცი ძნელად თუ მოიძებნება ქვეყანაზე, სადა რა უნდა მოხდეს ისეთი, რომ კორესპონდენტი პირველი არ მიიჭრას იქ თავისი უბის წიგნაკითა თუ ფოტოაპარატით. ეს მათი წყალობით ხდება, რომ ჩვენ ყველაფერი ვიცით, რაც დღეს, აი ახლა, ამ საათებში ხდება მთელ მსოფლიოში.

გეხსომებათ, არც ისე დიდი ხნის წინ, თბილისში გაიმართა შეჯიბრება ევროპის ჩემპიონებისა კალათბურთში. საიდან არ ჩამოვიდნენ ჟურნალისტები: საფრანგეთიდან; იტალიიდან, საბერძნეთიდან, ჩეხოსლოვაკიიდან, ყოველი მათგანი, დამთავრდებოდა თუ არა თამაში, უმაღლესი უკავშირდებოდა თავის ქვეყანას, სადაც გულშემატკივარი მოუთმენლად ელოდნენ შედეგებს.

ფოტო  
მ. თურქინსი



მაგრამ როგორი იყო უცხოელი კორესპონდენტების გაცემა, როცა თავიანთი რედაქციები და სააგენტოები პახუბოდნენ, რომ მათ უკვე ყველაფერი იციან. ასე დასწრეს თავიანთ უცხოელ კოლეგებს საქართველოს დებეშათა სააგენტოს კულტურისა და სპორტის რედაქციის თანამშრომლებმა აგული დადიანმა და გურამ ჭანიშვილმა. ჩემპიონატის დღეებში ისინი ყოველ ათ-თხუთმეტ წუთში გადასცემდნენ ცნობებს თამაშის მსვლელობის შესახებ. როგორ მოახერხეს ეს? სულ უბრალოდ. საქდების მუშაკებმა წინასწარ მოამზადეს ტელეტაიპი, წაიღეს და დადგეს სპორტის სახსლერში, სადაც შეჯიბრება მიმდინარეობდა. აქედან ისინი პირდაპირ მოსკოვს და ამ გზით მთელ მსოფლიოს დაუკავშირდნენ.

საქდები... ვინ მოსთვლის რამდენ ინფორმაციასა და შენიშვნას აქვს გავრეებში ასეთი „ხელმოწერა“. შეხვალთა თუ არა ამ დაწესებულების დერეფნებში, უმაღლ იგარძობთ, რომ მუშაობის ტიპში აქ აჩქარებული და სწრაფია. ერთი ოთახიდან საბეჭდო მანქანების კაკუნი მოისმის, მთარგმნელები და კორესპონდენტები მასალებს უკარნახებენ მემანქანე ქალებს; მეორე ოთახიდან ტელეტაიპების რასრაბი იჭრება დერეფანში (ფოტო ზემოთ), ისინი ასო-ასო, ფურცელ-ფურცელ იღებენ ახალ ამბებს მოსკოვიდან და, ამას გარდა, გადასცემენ ინფორმაციებს ჩვენი რესპუბლიკის ცხოვრების შესახებ, რომლებიც მერე მსოფლიოს მრავალი ქვეყნის ჟურნალ-გაზეთებში იბეჭდება; მესამე ოთახში გაცხოველებული კამათია, ჟურნალისტები რაღაცაზე ხმაშაღლა და გაცხარებით ბჭობენ (ფოტო მარცხნივ). აქ არიან სურენ ზოჯავეი, მარკ

ტრასკუნოვი, მიხეილ შვარცმანი, აგული დადიანი, ვახტანგ სიხარულიძე და ქსენია ქორელი. სამწუხაროდ, ჩვენმა ფოტოკორესპონდენტმა ვერ მოახერხა ყველას გადაღება. ეს შეუძლებელიც იყო. საქდებს მრავალი შესანიშნავი მუშაკი ჰყავს, მათ შორის, შამშე ასათიანი, ამირან გურგენიძე, თენგივ ჯიბუტი, მარიამ ფერაძე, ლამარა გაგუა, ზურაბ ლომიძე, მერი გაბრიაძე და სხვები.

თავიანთ კალმოსან კოლეგებს არც საქდების ფოტოქრონიკის მუშაკები ჩამოუვარდებიან, აგერ ვანო დვალი (ფოტო ქვემოთ) უკვე მიეშურება საითღაც, ალბათ საინტერესო აშავი ეგვლებდა.

— ჩვენი სტილი — დებეშის სტილია, — ამბობს საქდების დირექტორი ვლადიმერ ჭიაურელი, — ჩვენმა კორესპონდენტმა, რა საკითხსაც არ უნდა შეეხოს, კიბერნეტიკა იქნება ეს თუ კოსმოლოგიის ურთულესი საკითხები, უნდა წეროს მოკლე, გასაგებად, სხარტად და საინტერესოდ. ჩვენ ასეთი მუშაობის საქმამ გამოცდილება გვაქვს. პირველი ჩვენი ინფორმაცია სერგო ორჭონიკიძისთან საუბარი იყო, რომელიც 1921 წლის 10 მარტს გავრეებმა „კომუნისტმა“ და „ზარია ვოსტოკამ“ დაბეჭდეს.

დაწყებული იმ დღიდან საქართველოს დებეშათა სააგენტო ერთგულად ემსახურება ჩვენს ხალხს, ჩვენს ქვეყანას, მიაქვს რა თვითთულ მკითხველამდე უტუუარი ცნობები იმ დიდ სიახლეთა შესახებ, რომლებითაც სავსეა ჩვენი სისხლსავსე, მჭიქვარე ცხოვრება.

მ. მანია







# ვეტკა უმკაშვილი და ქართული მუსიკა

მეცხრამეტე საუკუნის ცნობილი საზოგადო მოღვაწე, უფროსობა და კრიტიკოსმა პეტრე უმიკაშვილმა დიდი ამაგი დასდო საერთოდ ჩვენი ხელოვნების და კერძოდ ქართული მუსიკის პოპულარიზაციის საქმეს. იგი აქტიურად გამოემართა ქართული მუსიკალური კულტურის იმ აღმავლობას, რომელიც გახული საუკუნის 70-იანი წლებიდან დაიწყო. ამას აღსტურებს მისი საგაზეთო წერილები ქართული ეროვნული გალობისა და ხალხური სიმღერების ჩაწერისა და დამუშავების ცალკეულ საკითხებზე.

1878 წელს „ივერიაში“ (№ 89) დაიბეჭდა პ. უმიკაშვილის წერილი „ქართული საგლობის გალობა“; წერილის დასაწყისში ავტორი მიუთითებს ხალხის იმ დიდი ინტერესისა და აღტაცების შესახებ, რაც სიონში გამართულ ქართულ გალობას გამოუწვევია. ეს აღტაცება, როგორც პ. უმიკაშვილი ამბობს, იმით აიხსნება, რომ „ქართული გალობა, რომელიც ხალხის კილოზე შემუშავდა და ათასი წლის განმავლობაში საქართველოს ტაძრებში, მონასტრებში და მეჯლისებში გაიხმოდა“, უკანასკნელ პერიოდში „თითქმის დავიწყებულ იქნა“. ამიტომ, მისი აზრით, „საკვირველად არ უნდა მიგაჩნდეს ის გარემოება, რომ ქალაქის ხალხი სიყვარულით და სიხარულით შეიკრიბა ეკლესიაში თავისი საკუთარი გალობის მოსახსენად“.

ამ საქმის მოთავეებს ქართული გალობა მისი ჩაწერისა და აღდგენის მიზნით გაუმართავთ, რისთვისაც მგალობელთა ორი გუნდი შეუდგენიათ. ერთ გუნდს ქართულ-კახეთის კილოზე უფროსობა გალობა, ხოლო მეორეს — იმერეთ-გურიის კილოზე. პ. უმიკაშვილი, ქართული გალობის აღდგენის მიზნით, აუცილებლად თვლიდა ორივე კილოზე შესრულებული გალობის ჩაწერას, რისთვისაც საჭიროდ მიანდა გალობის მცოდნე პირების მოძებნა საქართველოში ყველა კუთხეში; ამავე დროს, იგი მოითხოვდა, რომ გალობის ჩაწერა მიენდოთ სათანადო მუსიკალური განათლების მქონე პიროვნებებს, რომელიც ზედმიწევნით გაითვალისწინებდა ჩვენი ეროვნული მუსიკის თავისებურებას და კვალიფიციურად გადაიტანდა ნოტებზე ქართული გალობის ყველა ნიუანსს.

ქართული გალობისა და ხერო სიმღერების აღდგენისა და გავრცელების პრაქტიკულ საკითხებს ეხებოდა პ. უმიკაშვილის წერილები — „რამდენიმე შენიშვნა ქართული გალობის ნოტებზე გადაღებისათვის“ („ივერია“, 1878 წ., № 44), „ქართული საეკლესიო გალობა“ („დროება“, 1882 წ., № 9) და „გალობის გავრცელება“ („დროება“, 1882 წ., № 148). ერთ წერილში იგი გულისხმობს ადრევე აღნიშნავდა, რომ ოთხი წელიწადი იქნება, რაც ქართული გალობის აღდგენის კომიტეტი დაარსდა (იგულისხმება „იმერეთის კომიტეტი“), „მეცადინეობა და ხარჯიც გასწია, მაგრამ გალობის საქმე დღევანდლამდე იმავე მდგომარეობაშია დარჩენილი, როგორც კომიტეტის დაარსების წინათ იყო“. მისი სიტყვით, „ჩამაგირით დაჭერილი მგალობლები თავის ჯამაგირს იღებდნენ“, მაგრამ მათ მგალობელთა არც ერთი გუნდი არ შეუდგენიათ და სხვებისთვის არ უსწავლებიათ გალობა, რადგანაც უფიქრიათ, „რაკი ჩვენ სხვებს ვასწავლით, ჯამაგირს მოგვკლებენ და ცარიელედ დავრჩებით“.

პეტრე უმიკაშვილი დაბეჭდვით მოითხოვდა აღნიშნული მდგომარეობის გამოსწორებას. მომდევნო წერილში იგი წერდა: „მარტო იმის თქმა, რომ ქართული გალობა თუ სიმღერა ვიცოდეთ, არ კმარა. ერთი-ორი კაცი რომ საუბარში იდგეს და გალობდეს, ეს გალობის აღდგენა არ არის; ერთმა კაცმა რომ ყველა მოტივები და ხმები იცოდეს, ეს გალობის აღდგენა არ იქნება; ნოტები რომ ძალიანაც კარგად ნაწერი იყოს, ეს გალობის აღდგენა არ იქნება; ამ ნოტის დამწერლებს და ამ თითო მგალობლებს რომ ჯამაგირები და პენსიები ეძლიათ, ეს გალობის აღდგენა არ იქნება.“

აღდგენა იმაზე ჰქვიან, როდესაც ხალხში მოიფინება, გავრცელდება, ბევრნი იქნებიან მცოდნენი, როდესაც ყველ სამეჯლისო სადღეს და ღმინში ქართული სიმღერების და გალობის შეწყობილს ხმებს გაეგონებთ, შინ და გარეთ, ეკლესიაში და თეატრში, ქუჩაში და გემზე, მასინ იქნება აღდგენა ჩვენი გალობა-სიმღერისა. წარმატებას და სიხარულს შეხვალან მასინ ექმნება საბირკველი ჩადგომი“ (ანჩსატელი — „გალობის გავრცელება“, „დროება“, 1882 წ.).

განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ამ მხრივ პ. უმიკაშვილის წერილი — „ქართული მგალობელ-მომღერალთა გუნდი“, რომელიც 1887 წელს დაიბეჭდა „ივერიაში“ (№ 191, 192). წერილის დასაწყისში ავტორი კმაყოფილებით აღნიშნავდა ქართული გალობისა და ხერო სიმღერების შესწავლა-გავრცელების საქმეში მიღწეულ პირველ წარმატებებს, რაც იმაში გამოიხატე-

ბოდა, რომ ამ დროს საგრძობლად გაცხოველდა ეროვნული გალობისა და ხალხური კილოების ჩაწერა და დამუშავება, დაიბეჭდა პ. ბენაშვილის მიერ ჩაწერილი ხალხური სიმღერების კრებული — „ქართული ხმები“, გამართა ლ. აღნიშნული მიერ დაარსებული ქართული ხალხური სიმღერების გუნდის პირველი კონცერტი, ქალაქისა და სოფლის სკოლებთან თავი იჩინეს მოსწავლე ყმაწვილების მგალობელ-მომღერალთა გუნდებმა და სხვ.

პეტრე უმიკაშვილის შემოსხენებული წერილი ძირითადად ეხება ლ. აღნიშნულის გუნდის დანიშნულებასა და საარსებო წყაროს. ავტორი, უწინარეს ყოვლისა, მიუთითებს იმ დიდი აღტაცების შესახებ, რომელიც ამ გუნდის პირველმა საჯარო კონცერტმა გამოიწვია მოწინავე ქართველ ინტელიგენციაში. ეს კონცერტი გამართა 1888 წლის 15 ნოემბერს და ჩვენი მუსიკალური კულტურის მართლაც დიდი მნიშვნელოვან მოვლენად იქნა მიჩნეული. ილია ჭავჭავაძემ მას ორი მოწინავე სტატია მიუძღვნა „ივერიაში“.

ლ. აღნიშნულის გუნდის მოღვაწეობას, პ. უმიკაშვილის შეხედულებით, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იმ მხრივ, რომ იგი ჩვენი მუსიკალური კულტურის საუნჯეს ამდიდრებდა საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან აღებული მელოდიებით. „ამ სხვადასხვა კუთხის სიმღერა-გალობათა შესწავლას რაკი მოახერხებს გუნდი, ვთქვათ, თბილისში რაკი შეგკრებს სხვადასხვა კილოს ქართული მოტივებისას, ეს ცოდნა მოიფინება ყველგან საქართველოში და ამით გამდიდრდება, შეივსება, მრავალფეროვანი შეიქმნება წინათ ღარიბი და ერთფეროვანი მარტივი რომელისავე კუთხისა“. ხოლო, მისივე სიტყვით, „რამდენადაც მიღწეულია მოტივი და მელოდია“, იმდენად დიდია „მისი პედაგოგიური, აღმზრდელილობითი, პოეტური და საზოგადოდ ხელოვნებითი მნიშვნელობა“.

მაგრამ პ. უმიკაშვილის ხეროზულად აფიქრებდა ლ. აღნიშნულის გუნდის მომავალი, რადგანაც ამ გუნდს, გარდა კონცერტებიდან მიღებული შემოსავლისა, არსებობის სხვა არავითარი საშუალება არ გაჩნდა, ხოლო მას შემდეგ რაც პირველი კონცერტით გამოწვეული აღტაცება მინელდა, საზოგადოება სულ უფრო ნაკლებად ესწრებოდა მომღერალთა სხენეული გუნდის გამოხვედებს. მიუხედავად იმისა, რომ მომღერლები გასამრჯელოს არ იღებდნენ, გუნდი აუცილებლად ხარკებსაც ძლივს ფარავდა.

პეტრე უმიკაშვილი ყოველმხრივ უკვირდება, ეძებს, რა გზით შეიძლება აღნიშნული მდგომარეობის გამოსწორება და მიუთითებს ევროპის დაწინაურებული ქვეყნების მაგალითზე, სადაც, მისი სიტყვით, მგალობელ-მომღერალთა გუნდები უმეტესად „არაინ ან ეკლესიებში მგალობენი, ან თეატრებში მომღერალნი, ან სამუსიკო დაბად და მაღალ სასწავლებლებში“ და „დასის გალობა-სიმღერას მუსიკის საკრავებთან აერთებენ“. როგორც თვითონ ამბობს, „ახლა მუსიკის და სიმღერის ხელოვნება შეერთებულია ერთად თეატრებში და სკოლებში, მას უფრო ეტანება მოსწავლეცა და მასწავლებელიც“.

შემდეგ, პ. უმიკაშვილი გალობა-სიმღერას აღარებს ხელოვნების სხვა დარგებს და გარკვევით აღნიშნავს, რომ „სამუსიკო გალობა-სიმღერას უფრო მარტივი და შევიწროებული ახპარეზი აქვს“, ვიდრე, ვთქვათ, სასცენო ხელოვნებას, რომელსაც „ცხოვრებაში დიდი ახპარეზი დაუპყრია და ხალხიც მომეტებულად ეტანება“. ამიტომ მას მიზანშეწონილად მიანდა ლ. აღნიშნულის მომღერალთა გუნდმა „ისეთ ხელოვნებაში მიიღოს მონაწილეობა, რომელშიაც სიმღერა-გალობა თავით თვისით განმარტებულია ერთად თეატრებში და სკოლაში, მას არის, არამედ შეერთებულია სხვა ხელოვნებასთან“.

შემდეგ ავტორი უფრო კონკრეტულად ასაბუთებს თავის მოსაზრებას: „ჩვენი თეატრი, სცენა დღეს თუმცა ხუხტია, ოპერა არა აქვს, მაგრამ მრავალი სასცენო პიესებია, რომელშიც სამღერლებიც არის და ამის გამო მომღერალთა გუნდი დასჭირდება. შემდეგში შესაძლებელია ნელნელა ოპერებიც ვაღმოვებულ იქნას და მასინ ხომ მომღერალთა გუნდი უმეტესი შეიქმნება“.

წერილის დასასრულს პ. უმიკაშვილი ყურადღებას ამახვილებს თბილისის სამუსიკო სასწავლებელზე, სადაც, მისი სიტყვით, ქართველი მოსწავლე „თითქმის არავინ მოიხვება“ და ამიტომ კარგი იქნება ლ. აღნიშნულის „თავისი გუნდი ამ სკოლასთან მოეწყოს“. მეორე მხრივ, როგორც თვითონ ამბობს, „სამუსიკო სკოლას, დაარსებულს საქართველოს დღეაქალაქში, დიდ ღირსებად ჩაეთვლება, რომ თავის ჭერქვეშ მოეთავსებინა ისეთი განყოფილება მოსწავლეთა, რომელნიც ადგილობრივს გალობა-სიმღერაზე შრომასა სწევენ და იქნება საქვეყნო სახელი შესძინონ სასწავლებელსა“.

პეტრე უმიკაშვილს მთელი თავისი ინიციატივის მანძილზე არ შეუწყნებია ყურადღება ქართული მუსიკალური კულტურისადმი. 1901 წელს „ივერიაში“ (№ 184) დაიბეჭდა მისი წერილი — „ფონოგრაფით გადაღებული სახალხო სიმღერა“. იგი ჩვენი მუსიკალური კულტურის მნიშვნელოვან მოვლენად თვლის ზეპირად ფალონაშვილის მიერ კახეთსა და გურიაში ფონოგრაფით ხალხური სიმღერების ჩაწერას. „მაღლობის ღირსია წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობა, — ამბობს პ. უმიკაშვილი, — რომ დასაწყისი მისცა ამ საქმეს და ბატონ ფალონაშვილს ჩააწერინას სახალხო მელოდიები, რომელიც სკოლებში სამღერლად უფრო საჭიროა, ვიდრე დღევანდლამდე ნაწერი ნოტები მცირე მცოდნე კაცებისა“.

ამით ვამთავრებთ პ. უმიკაშვილის იმ წერილებს განხილვას, რომლებიც ქართული მუსიკის ცალკეულ საკითხებს ეხებიან. თუმცა ამ წერილების ვრცელი ანალიზი არ იყო მოცემული, მაგრამ ეს შენეულული განხილვაც საგნებით ნათელყოფს პ. უმიკაშვილის დაუცხრობელ ზრუნვას ჩვენი მუსიკალური კულტურის აღორძინებისა და შემდგომი განვითარებისათვის.



დილა რუსთველის ქველთან

რუსთაველის ქუჩით რუსთველის ძეგლთან  
მივალ, მოვიხმენ რუსთავეის ამბებს;  
სამგორის ზღვიდან ამოვა მზე და  
თბილისის მხრებზე შუქს გადააფენს.

ამღერდებიან შორით საყვირნი,  
აფეთქდებიან ხმათა ენონი,  
მთების კალთები ცვარნამდაყრილი  
და ბილიკებიც საცალღებონი.

ახმაურდება, გაციკროვნდება,  
აინთებიან მზით და ვარდებით;  
თბილისის დილაგ, მაისის დილაგ,  
განა მარტო მე გამეხარდები?

შენ უოველ კაცის გულში იღვიძებ,  
შენთვის ღიაა ყველა სარკმელი,  
შეკრდში ათასი სიმღერა გიძევს  
შენი მგოსნების ბავით სათქმელი.

დღესაც გათენდი სწორედ იმგვარად,  
თითქოს სიზმარმა ფრთები მოიხსა,  
და მზის ემბაზი გადმოიღვარა,  
ვით ურუანტელი სამყაროისა.

წამოიშარტენი სახლები, თითქოს  
გადმოიხედეს მთიდან ირმებმა;  
და გაზაფხულის შუქმა და სითბომ  
იწყო ქუჩებში გახიერიება!

მოგონება იმ დღეთა

მოგონება იმ დღეთა,  
სიჭაბუკის, ოცნების,  
პოეზიის სასახლე,  
ახალგაზრდა მგოსნები.  
ჭადრის ვრილი ნიაფი,  
გადახსნილი საქინძე,  
რუსთაველის გამზარი,  
გალაკტიონ ტაბიძე.  
მიდიოდა ვეფხვივით,  
მივყვებოდით ნუკრებდად,  
და მგოსანიც ღიმილით  
შორით გვასაჩუქრებდა.  
ოპერასთან აკაკი —  
სუროს ტბაში მცურავი,  
აღმაფრენას უფრო დიდს  
ნუ ინატრებს ნურავინ.  
ჩვენი გუნდი ბაღის წინ  
ლაღოს მოსვლას ელოდა,  
„აონს“ ვათქმევინებდით  
გზაში მირზა გელოვანს.  
ქუჩა კალთას გვიშლიდა  
ბიჭებს გულმღელღარებებს,  
რუსთაველის კვარცხლბეკთან  
ვათენებდით ღამეებს.  
და ვერ წარმოგვედგინა  
ჩვენი გულის სამეფო  
ლექსის წერის გარეშე,  
ანდა უერთმანეთოდ.  
მაგრამ ომის ქარბუქმა  
შორით მიგვყარა-მოგვყარა,  
მაინც დარჩა უდრეკად  
პოეზიის ქვეყანა.  
იმ დროს ნათქვამ სიმღერებს  
დარდი ჰქონდა რაიმე? —  
შორეული სიბერე  
ახლოვდება, გაიმე!..

როცა მარტო ვარ

მე როცა ლექსებს ვწერ,  
და როცა მარტო ვარ,  
მაშინ შენც ჩემთან ხარ,  
ოცნებით გიგონებ,  
შენ მივი პოეტურ  
სახეთა პატრონად,  
და ჩუმად მკარანხობ  
სანუყვარ სტრიქონებს.

და თუ რამ აკლია,  
და თუ რამ სუსტია,  
ეს შენი ბრალია,  
ალბათ, არ გიყვარვარ,  
მაკლებ შთაგონებას,  
მაკლებ აღმაფრენას,  
და ლექსის მუწებთან  
ახლოს არ მიგყავარ.

მომხედე, ძვირფასო,  
ის შუქი მომბადლე,  
მთა-გორებს ზეციურ  
ნამად რომ აწვიმებს,  
რომელიც ზღვის გულზე  
ატარებს ხომალდებს  
და ცაში ააფრენს  
ფოლადის არწივებს.

სადა ხარ? არ ჩანხარ!  
მიღიხარ?.. სადაც ხარ,  
ჩემს შთაგონებაში  
ოცნებად იქროლებ,  
მე როცა ლექსებს ვწერ,  
შენ თვალწინ მინთიხარ  
და ჩუმად მკარანხობ  
სანუყვარ სტრიქონებს!

შენ რომ წიგნი მოგეწერა


შენი თვალთა შუქის გარეთ  
რაა ჩემი გულის ძგერა?  
ჭაბუკურად გავიხარე,  
შენ რომ წიგნი მოგეწერა.

გადვიკითხე, ვკოცნე, ვკოცნე,  
მზე დასავლეთს დიწვერა,  
მკვდარი გული გამიცოცხლე,  
შენ რომ წიგნი მოგეწერა.

განმაშორა ბნელი დარდი,  
თითქოს მკვდრითთ აღმადგინა,  
ახე ძლიერ თუ გიყვარდი,  
რატომ დღემდე აქამდინა?

გული ჩემი შენზე ღოდინს  
ვამსხვერპლე და გადავქანცე,  
თუ კი შენად გეგულვოდი,  
რად მისევი მიწარე განცდებს?

ვინ გასწავლა, — არ აჩქარდე,  
თუ კი გიყვარს, დასწვი ჭერა! —  
არა სჯობდა, ცოტა ადრე  
შენ რომ წიგნი მოგეწერა?!



თუ გულის ცეცხლი არ ახლავს

მით ცაზე ცისკრის დანახვა,  
ან ბანზე დილის საარი, —  
თუ გულის ცეცხლი არ ახლავს,  
იხე ლექსის თქმა რა არი?!

რად გინდა ჩლუნგი შაირი,  
თუ ვერ აგანთებს ბრძოლის დროს,  
და ლეღვით ვერ გადაივლის  
შენი საშობლოს ჰორიზონტს.

თუ ლხინში ვერ იჭრიალებს  
გულში ჩასადვრელ ბანგებად,  
ან უამთა ფერფლის მორევში  
ნემსივით ჩაიუნგება.

თუ გულის სატრფოს ვერ ამცნობს  
ფიქრების ზღვათა ლღვასა,  
თუ ვერ დასწრებს ცის ქუხილს,  
თუ ვერ გაასწრებს ეღვასა.

თუ გამარჯვებას ვერ გამცნობს,  
ვერც დაგიუჩრებს იარას,  
თუ მგოსნის ფიქრებს ვერ გახდის  
ხალხთ გულის თანაზიარად,

მაშინ რაღაა ლექსის თქმა,  
რად ებმი სიტყვის უღელში? —  
მინდვრის პატარა ლერწამი  
როგორ ჩადგები მუხებში.

ხომ იცი, ქართულ ლექსის ქარს  
როგორი მკერდი სჭირდება,  
რომ სიმღერაში დამკვიდრდეს  
საშვილთაშვილო დღეებს.

ვით ცაზე ცისკრის დანახვა,  
ან ბანზე დილის საარი, —  
თუ გულის ცეცხლი არ ახლავს,  
იხე ლექსის თქმა რა არი?!

გზად გურიანში

რა მზიანი დილა იყო,  
რა შუქლადი საღამოა.  
ღობეს ციცა მოადგება,  
წყალს მოსთხოვ და ღვინო მოაქვს.

გადავცქერი მწვანე ეზოს  
და იზიდავს ჩემს გულს ასე:  
ვაწი მტევნებგავსებულ  
და ეს ციცა, მტევნებსავსე-

იხე მიღის, როგორც ბინდი  
მთის ფერღობზე მოსრიადი;  
შემომხედა, უცებ შევკრთი,  
ნაპერწყლები ენთო თვალეებს.

გულო, ხომ არ შეგეშინდა?  
მშობლიური სოფელია!  
ციცას თავი დაანებე,  
შენ აქ სტუმრად მოგელიან;  
განა იხე წახდი კაცი,  
სიყვარული მოგერია?!



ლადო გუდიაშვილი ამ ორმოცდაათი წლის წინათ დამიმეგობრდა. იგი ხშირად მოდიოდა ჩემთან, ღარიბულ სტუდენტურ ოთახში, რომელსაც ვჭირავდით ხოლმე თბილისში, უცხოეთიდან კანიკულებზე ჩამოსული. იმხანად ქართულ ხელოვნებას განმკითხავი და პატრონი არა ჰყავდა. უმონო-რაროდ ვწერდით და ვხატავდით, სამშობლოსადმი უანგარო სიყვარულისაგან შექმნილი.

უცხოელ ყოფნის დროს, საქართველოსა და ჩემს მეგობრებს რა მოვიგონებდი, ხშირად ვფიქრობდი ხოლმე თავმდაბალი, ჩუმი, სევდიანი ლადო გუდიაშვილის გამო.

\* \* \*

მომხდა ისე, რომ ჩვენ პარიზში შევხვდით ერთმანეთს 1928 წელს. აქ უფრო გაღრმავდა ჩვენი მეგობრობა. მოცალების უამრავი ვიყავით ლუვრისა და ვერსაისის მუზეუმების მუდმივი სტუმრები, ხანაც კაფე „როტონდაში“ ვხვდებოდით ურთიერთს.

ლადო გუდიაშვილს პარიზში

ლოსნები ლოჟაში“, „ყენის მტკვარში ჩაგდება“, „ბედს მინდობილი“, „ცეკვა ციბრუტი“, „კეკელუცი მშველი“.

გუდიაშვილის ფერადები, ზღვისგულის, დანისლული მთის ფერები, ან ფერადები ტერაკოტისა და სინგურისა, — ეს ყოველივე ისე ჭარბადაა გამოყენებული მის დიდ ტილოებზე, როგორც ტიცინისა და ვერონეზეს ხასხასა წითელი.

\* \* \*

ჩვენ ყველას, ამ თაობიდან გამოსულთ, ათასგვარი დემონი გვიდავდა გულს, ათასი გზები გვიცდია და საშუალებანი, ათასგვარი სამანი მოგვისინჯავს.

ეს არის ფრიად მტკივნეული პერიოდი ხელოვანის ცხოვრებაში, პერიოდი საკუთარი ხმის მოპოვებისა და საკუთარი მანერისათვის მიგნებისა.

საქმე ის არის, რომ ეს ეტაპი ის ფონია, რომელიც საშუალო ნიჭს ახრჩობს, მაგრამ დიდი ტალანტი მას გადალახავს და საკუთარ გზას მოსძებნის უთუოდ.

თამარის სახე ისეთი ძლიერი ტრადიციით იყო დამკვიდრებული ვარძიისა და ბეთანიის ცნობილი ფრესკების მეოხებით, დიდი მხატვრული სითამამე, არა მარტო ეგ, დიდი ოსტატობაც დასჭირდა, ალბათ, მხატვარს ამ ტრადიციებისთვის გადაეხვია და შეექმნა უჩვეულო შთაგონებით გასხვივსნებული სახე.

თუ ქართული ფრესკის ოსტატები სათნოდ ხელაპყრობილ თამარს გვიხატავდნენ, გუდიაშვილმა პალას ათინასეული მირისხანება მიანიჭა მის სახეს და ხმლით აღჭურვა იგი, როგორც თავისი ხალხის თავისუფლების გულმამაცი ქომაგი.

ასეთ მეომარ ქალად აღიღებს მას ქართული ხალხური პოეზია: „თამარ მეფე და ხონთარი მაღალმა ღმერთმა წაჰკიდა“.

გეგვ სწორია: დიდი ხელოვანი ნაციონალური ტრადიციის მონა და ებიგონი როდია, არამედ მისი გამაგრებელი და გამაძლიერებელი.

„სერაფიტას ვასერინება“ მაღალი რანგის პათოსითაა გაბრწყინებული, დავიწყების უკუნეთიდან გამოსხივებული უკვდავი სული საქართველოს დიდი

# ქონსპანგინა გასასხარლი

## ქონსპანგინა გასასხარლი

თან ჩაჰყვა თავმდაბლობა და სიღარიბე. მიუხედავად ამისა, ამ უთქმელი და თავმოდრეკილი კაცის ტალანტმა ისე იძალა, იმჟამინდელ პარიზშიაც მიიჭია ყურადღება.

პარიზში ჩვენი საუბრების მუდმივი თემა იყო: ქართული ხელოვნების ბედი. უნდა აღინიშნოს: ლადო გუდიაშვილს არასოდეს ღალატობდა პატრიოტული გრძნობა.

ნაყოფიერება ხელოვანის სიდიდის ერთ-ერთი კომპონენტია უცილოდ. ჩვენ ვცხოვრობთ ისეთ ეპოქაში, როცა ყოველ დარგში დიდი სულიერი ენერჯის დაძაბვაა საჭირო, რათა ხელოვანის შემოქმედება არ დაჩრდილონ ჩვენს საუკუნეში მომხდარმა გრანდიოზულმა მოვლენებმა. ამიტომაც „ნადირთა მცირეთა ხოცვით“ თანამედროვე ხელოვანი ფონს ვეღარ გავა.

გუდიაშვილის მემკვიდრეობის მკვრივტელს უთუოდ აღმოხდება: „რა დიდებულია!“

ეს ყოველივე გრანდიოზულია, არა მარტო მოცულობის მიხედვით, არამედ ემოციებითაც. ემოციურობა პირველადი ფაქტორი როდია ხელოვნებაში, ხშირად უნიჭოც ახერხებს პრიმიტიული ემოციურობის მოპოვებას. მთავარია ემოციების გამოსახვა მაღალი რანგის ოსტატობითა.

თემატური მრავალმხრივობაც უცილო პირობაა იმ ცხენთათვის, რომელთაც გამოსცდის ხოლმე „შარა გრძელი და დიდი რბევა“.

ფერადების ამ უცნაურსა და ზეადმტაც ორკესტრში, რომელიც განცხადებულია მის გრანდიოზულ ტილოებზე, გუდიაშვილი მოჩანს როგორც ფერთა სიმფონიის, ხასიათების გაშიფვრისა და გამოძერწვის უბადლო ოსტატი.

ჭერაც ესთეტიურ შემფასებელს მოელიან ქართული პორტრეტული ხელოვნების უცნობი დიდოსტატები, რომელთა ქმნილებანი, უამთა სიავეს გადარჩენილნი, ამშვენებენ ჩვენი არქიტექტურის უბრწყინვალეს შედეგებს მცხეთასა და გელათში, ყინწისსა და ბოლნისში, ბედასა და წულღურაშენში.

ახალ ეპოქაში შეხანისწავმა დიოსკურებმა ჩვენი მხატვრობისამ — ლადო გუდიაშვილმა და დავით კაკაბაძემ კვლავ მოგვაგონეს თავისი დიდი წინამორბედების ქაღალსური ფუნჯის ძალა და დაამშვენეს ჩვენი ქვეყანა თავისი განსაცვიფრებელი ტალანტით.

\* \* \*

რამდენი კაცი, რამდენი ტურისტის მოგზაურობს კავკასიონის მთიანეთსა და შავი ზღვის სანაპიროზე! კოლხეთის ჭაობებსა და ალაზნის ველების მწვანეს, ლუჯარდის, ლაპისის ფერებს თვალთ სჭერებს, მაგრამ იმ განგებისად ძლიერ სილაჟვარდეს, რომელიც გუდიაშვილის „გაუფხულში“ განცხადებულია, ვერც ერთი უბირი თვალი ვერ შენიშნავდა ამ სურათის ნახვამდის.

ასეთივე ზეადმტაცი ფერადებით გაკეთებულია მისი „ქართველი მანდი-

წარსულისა, კემზარტი ხელოვანის ფერთა საოცნებო კალეიდოსკოპში განცხადებულია.

დიდ ტალანტებს ვრცელი ფარვატერები ესაჭიროებათ მუდამ. ლადო გუდიაშვილის ფუნჯი და ფანქარი მრავალკედოვან მოვლენათა ამსახველია, ამიტომაც რთულია მისი შემოქმედების ლაბირინტი და ფერადების ორკესტრი.

\* \* \*

საგანგებო შესწავლას მოითხოვენ გუდიაშვილის გრაფიკული სერიები, დიდის სატირულის ნიჭით აღბეჭდილნი, მისი ერთგვარი კაპრიზონი, მისი მიმოლოგიური და იკავური ბუნების ნახატები, მისი ილუსტრაციები ვეფხისტყაოსნისა, სხვანი და სხვანი.

საგულისხმოა მისი გამომხატურებაც თანამედროვე აქტიური თემატიკის მიმართ. როგორც პატრიოტი თანამედროვე საქართველოსი, იგი დიდი სიყვარულითა და ოსტატობით გამოსახავს ჩვენი ქვეყნის შრომის პროცესებსა და შრომის გმირებს.

\* \* \*

როგორც მწერლობაში, ისე მხატვრობაში მე ვაფასებ მხოლოდ ცხოვრებაზე მოსმთქმელ ოსტატებს. ჰომეროსი და მიქელანჯელო, რუსთაველი და ლევ ტოლსტოი, გოეთე და ლეონარდო და ვინი მარტოოდენ საშინელებათა უფსკრულში როდი ჩაგვანებდნენ, არამედ ისინი უმდეროდნენ ბუნებისა და ადამიანური მოღვმის, ფლორისა და ფაუნის სილამაზეს.

მსოფლიო პოეზიის უდიდესი გენიონები: ჰომეროსი, შექსპირი, რუსთაველი და ლევ ტოლსტოი კეთილის მიერ ბოროტის ძლევის გვიჩვენებდნენ, ხოლო თავათ მხატვრობა, რომელიც ჩრდილისა და შუქის შენაცვლებიდანაა დასაწყობებული, ნათელი ფერების ჩრდილებზე გამარჯვების შედეგია ბოლოს და ბოლოს.

გუდიაშვილი ხალისიანი ფერებით, დიდის გემოვნებითა და ზომიერებით გვიხატავს ადამიანურ ვნებებს, ადამიანის სხეულის სილამაზეს.

მისი ქალები, განსაკუთრებით „შავ ნაკადულთან მჭდომარე მანდილოსანი“, „წითელხელთათმინანი ფერიდე“, „ქალი და ბუღბუღი“, — მოგვაგონებენ ტიცინის, რაფაელის და რუბენის ქალებს. სავსებით განსაცვიფრებელია მისი კიბეზე ჩამოშავალი ანგელოზი, ქაშუეთის ფრესკაზე გამოხატული. ეს ყოველივე ზეადმტაცი ოსანაა, ცხოვრებისა და სილამაზისადმი აღვლენილი.

ნამდვილი ჰუმანისტური ხელოვნება უნდა ცდილობდეს ადამიანის გულისყური გამაზვიდლოს ცხოვრებისა და ბუნების სილამაზისადმი. ამ მხრივ გუდიაშვილი ნამდვილი ჰუმანისტია და ცხოვრების მიმართ მოსმთქმელი ხელოვანი. ამიტომაც გვახარებს მისი შემოქმედება.

ჩვენს ლადოს, რომელსაც მე ფერების ბუღბუღი შევარქვი ზუმრობით, სამოცდაათი წელი შეუსრულდა. ქართველი ხალხის სურვილია: კიდევ დიდ ხანს იცოცხლოს და იმუშაოს ჩვენმა სასიკადალო დიდოსტატმა ქართული მხატვრობის საბედნიეროდ.




საკადრისი პასუხი

ქვენობა






ქალიშვილის პორტრეტი



გამგზავრება პალესტინაში



ორთავალეო მეცხეებნი



ქეიფის შემდეგ



ამ რამდენიმე ხნის წინ „დროშა“ გამოაქვეყნა წერილი: „გეგმა და თაოსნობა“. მასში ლაპარაკი იყო თბილისის სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატის წარმატებებზე და ცალკეულ ნაკლოვანებებზე, იმაზე, თუ რა უჭირთ და რა უღბინთ ამ შრომითი კოლექტივის ადამიანებს.

წერილი აღძრავდა მტკივნეულ საკითხებს, აყენებდა რამდენიმე წინადადებას ხარვეზების გამოასწორებლად, კერძოდ, მასში აღნიშნული იყო, რომ თვეების მანძილზე კომბინატში იგრძნობა მუშა-ხელის ნაკლებობა, დასახელებული იყო ამის მიზეზები, აღნიშნული იყო, რომ კომბინატის სართავი ფაბრიკა ვერ ასრულებს საწარმოო გეგმებს, რომ ამ ფაბრიკამ მართო გასული წლის ცხრა თვის მანძილზე ოთხმოცდაცხრა ტონა ნართი დააკლო სახელმწიფოს, რომ კომბინატში დღემდე ვერ სრულდება შრომის ნაყოფიერების ამაღლებისა და ბამბის ნართის დამზადების გეგმა, გახშირებულია ჯარიმები, რამაც იმავე ცხრა თვის მანძილზე (ვგონების მოცდენის, პროდუქციის უხარისხობისა და საზომი შვალის დარღვევის მიზეზებით) 59 ათას მანეთს მიადწია.

რა თქმა უნდა, რედაქციას მუდამ აინტერესებს რას იტყვის მკითხველი, მით უმეტეს, რას იტყვიან ის ადამიანები, ვის საქმიანობასაც ესა თუ ის წერილი ეხება.

და. აი, რედაქციაში ტელეფონის ზარი გაისმა. რეკავდა კომბინატის პარტი-ბიუროს მდივანი ამხანაგი უშანგი დათუნაშვილი.

— ვინ ლაპარაკობს? — იკითხა მწყურვალად პატივცემულმა უშანგიმ.

— რედაქციის პასუხისმგებელი მდივანი ვარ.

— მერე? თუ შენ პასუხისმგებელი მდივანი ხარ, არ უნდა იცოდე რა იბეჭდება თქვენს ჟურნალში?

შეცბუნებულმა მდივანმა ტელეფონის მილი გადასცა წერილის ავტორს, აქაო და, რაკი-ლა წყალი შენ ამღვრიე, პასუხიც შენვე აეგო. ამხანაგმა უშანგიმ წერილის ავტორს უთხრა:

— თქვენი წერილი მავნებელი და ანტისაბჭოური, თქვენ კი უცოდინარო და მოლაყებ ხართ! ვინ ჩავაგონათ თქვენ ჩვენი კომბინატის გაყოფის იდეა?

აქედან ძნელი გასაგები იყო, თუ რა ეწყინა უშანგი დათუნაშვილს, რამ აღაშფოთა იგი ასე უზომოდ. ყველაფერი ბოლომდე ნათელი გახდა მხოლოდ მაშინ, როცა რედაქციაში მიიღო პასუხი წერილზე „გეგმა და თაოსნობა“; ამ პასუხს ხელს აწერდა კომბინატის მთავარი მექანიკოსი ა. ჯიქიძე.

ამასთან, ეს პასუხი დაეგზავნა სხვა ინსტანციებსაც.

„როგორ შეყავთ შეცდომაში მკითხველები ზოგიერთ კორესპონდენტს“ — ასეთი სათაური აქვს პასუხს. დაეანებოთ თავი ავტორის ქართულს. უფრო საკვირველი აი რა არის — ა. ჯიქიძე არსად, არც ერთ სტრიქონში, არც ერთი სიტყვით არ უარყოფს იმ ნაკლოვანებებს, რომლებიც აღნიშნული იყო სტატიაში „გეგმა და თაოსნობა“. პირიქით, რატომღაც განაწყენებული, თავის დაუღუბურად უფრო მუქი ფერებით ახასიათებს კომბინატის მუშაობას, ვიდრე ჩვენ წარმოგვადგინა.

პასუხი იწყება უსაფუძვლო გამოდავებით:

„კომბინატის ქალიშვილებს ან ინჟინერ ქალიშვილებს მსუბუქ და სატვირთო მანქანებთან, ვეებერთელა ყუთებთან და შეკვრებთან არავითარი საერთო არა აქვთ, თუ არ ვიგულისხმებთ ნაცვლად მსუბუქი და სატვირთო მანქანებისა, შენობაში მოთავსებულ ტექნოლოგიურ მანქანებს, ვეებერთელა ყუთებისა და შეკვრების გარეშე“.

ვის ედავება ამხანაგი ჯიქიძე? განა ჩვენს წერილში ეწერა, რომ ქალიშვილები მანქანებსა სცლიანო? არ ეწერა. იქ მხოლოდ, ასე ვთქვათ, საერთო ხედი იყო კომბინატის ეზოსი. და აქ საწყენი არაფერი არ იყო.

კაცი შევიდა კომბინატის ეზოში და დაინახა მანქანები (მსუბუქიც და სატვირთოც), ვეება საამქროები, მოფუსფუსე ქალიშვილები. ეს იყო და ეს. რა არის აქ საგანგაშო და სადავო?

უფრო საკვირველია ჰიშკრის ამბავი. ნარკვევის ავტორი წერდა: „ჰიშკარი დინჯად, აუჩქარებლად იღება, როგორც ძველ ციხე-სიმაგრეში“. ამ სტრიქონებს ძლიერ აღუშფოთებია ჯიქიძე.

„კომბინატის ჰიშკარს, მის კონსტრუქციას და გაღება-დახურვის მოწყობილობას აბსოლუტურად არავითარი მსგავსება არა აქვს ძველ ციხე-სიმაგრის ჰიშკარებთან“, — ამბობს იგი და ასკენის, რომ „კომბინატის ჰიშკარის ასეთი დახასიათება მიეწერება კორესპონდენტის უშინაარსო ლაყბობას“.

არის აქ საჭირო ახსნა-განმარტება? არის საჭირო თქმა იმისა, რომ წერილში კონსტრუქცია კი არ იყო შედარებული, უბრალოდ ნათქვამი იყო, ჰიშკარი დინჯად და აუჩქარებლად იღება, როგორც ძველ ციხე-სიმაგრეებში იცოდნენო.

ნარკვევში აღნიშნული იყო, რომ ჟურნალის კორესპონდენტის მისვლის დღეს კომბინატის სასპორტო მოედანზე ახალგაზრდები გატაცებით თამაშობდნენ ფრენბურთს. მათ თამაშს ჩვენ სულ ცოტა ათიოდე წუთი მაინც ვუყუარეთო.

ამის საპასუხოდ მთავარი მექანიკოსი წერს:

„კომბინატის ტერიტორიაზე მოთავსებული სპორტის მოედნები, განსაკუთრებით ზამთრის პერიოდში იმდენად გამოუყენებელია, რომ გახურებულ მოთამაშეებს კანჭებსა და ლოყებზე ცეცხლმოკიდებულს ვერ დავინახავთ“.

ამხანაგი ჯიქიძე აქ კი სავსებით მართალია. კორესპონდენტს ვარდისფერი სათვალეებით შეუხედავს ამ საქმისათვის. მას უნდა აღენიშნა, რომ „კომბინატის ტერიტორიაზე მოთავსებული სპორტის მოედნები“ გამოუყენებელია, განსაკუთრებით ზამთარში. კორესპონდენტს ისიც უნდა აღენიშნა, რომ სპორტი-სადმი ასეთად დამოკიდებულება მოსაწონი არ არის. ა. ჯიქიძის ეს შენიშვნა

# კომბინატი

## მსუბუქი

ქართული  
ბიზნეს-პრესა

სავსებით სწორი და მართებულია. სინამდვილე არ უნდა შევალამაზოთ.

კიდევ ერთი მაგალითი იმის ნათესაყოფად, რომ ჰუმბერტად სრულიად გაუგებარია რაზე დავობს მთავარი მექანიკოსი, რა ეწყინა მას. იგი წერს:

„კორესპონდენტს წერილში გამოყავს ისე, რომ თითქოს პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის შემდეგ, რაღაც ახალი შეიქმნა ტრიკოტაჟის ფაბრიკაში, კერძოდ ქალის კაპრონის ჯემპრების გამოშვების საქმეში, მაშინ, როდესაც ქალის კაპრონის ჯემპრებს კომბინატი უშვებს დამტიციებული გეგმის მიხედვით ვერ კიდევ 1963 წლიდან და არა თვით ფაბრიკის მიერ შედგენილი გეგმით, მომხმარებელთა მოთხოვნების გათვალისწინებით“.

აქაც ეტყობა, რომ ამხანაგმა ჯიქიძემ ჟურნალი ყურადღებით არ წაიკითხა, იქ ის კი არა სწერია, რომ ჯემპრების გამოშვება სექტემბრის პლენუმის შემდეგ დაიწყესო, არამედ ის, რომ ამ პლენუმის შემდეგ პროდუქციის ხარისხს განსაკუთრებულ ყურადღებას მიექცა და სწორედ ეს გაითვალისწინა მთავარი ინჟინრის მოადგილემ ევგენია ინაშვილმა, გაითვალისწინა, რომ „ახლა თვით ფაბრიკამ უნდა აავსოს თავისი პროდუქციის გამოშვების გეგმა მომხმარებელთა მოთხოვნების გათვალისწინებით“. ეს კი აუცილებელია, თუ არ გვინდა, რომ ჩვენი საქონელი უქმად ეწყოს მტერიან თაროზე. ფაბრიკამ აქ მართლაც მიადწია წარმატებას, მის მიერ გამოშვებულ ჯემპრებს მაღალი დონის დიდხანს არავინ აჩერებს. ეს კარგია, და კმაყოფილების გრძობით აღნიშნა კიდევ კორესპონდენტმა. მაშ რაზე გაბრაზდა ამხანაგი ჯიქიძე, მოდით და მიუხვდით?

ნაკლოვანებებზე რომ მიუთითებ, შეიძლება ეწყინოს კაცს, მაგრამ რაც კარგია, იმას რომ მოუწონებ, და ამასაც საწყენად მიიღებს — ეს რაღა ღვთის წყრომაა?

განა საკვირველი არ არის, რომ ამხანაგი ჯიქიძეს, თანამდებობით კომბინატის მთავარ მექანიკოსს, თუ შეიძლება ასე ითქვას, ბუნდოვანი წარმოდგენა აქვს იმაზე, თუ რას ნიშნავს საწარმოს მექანიზაცია და ავტომატიზაცია. თავის პასუხში მას მოჰყავს ციტატა ჟურნალში დაბეჭდილი წერილიდან იმის თაობაზე, რომ „თითქმის მთელი ფაბრიკა (ლაპარაკია ბამბის სართავ ფაბრიკაზე) მექანიზებული და ავტომატიზებულია. ბამბის შეკვრების დახარისხებიდან ბამბის უწყრილეს და უწმინდეს ნართამდე ყველაფერს მანქანები აკეთებენ“, ჯიქიძე ამაზე აღშფოთებით წერს, რომ ეს არის თურმე „ცრუ და მოუთმენელი ცნობა“; სინამდვილეში კი, თურმე „სართავ ფაბრიკაში, დაწყებული ნედლეულის საწყობიდან, გათავებული მზა პროდუქციის მომხმარებელზე გაგზავნით მექანიზაციისა და ავტომატიზაციის დარგში, სამწუხაროდ, უმნიშვნელო რამ არის გაკეთებული“.

ჩვენგან არ ესწავლება მთავარ მექანიკოსს, მაგრამ მაინც იძულებული ვხდებით ზოგი რამ ავუსხნათ მას. აბა, შევეცადოთ: თითქმის მთელი ფაბრიკა მექანიზებულიაო, დაგწერეთ ჩვენ იმიტომ, რომ „დაწყებული ნედლეულის საწყობიდან“ ბამბის შეკვრები ავტომატიზებულიაო ფაბრიკის ქვედა სართულში მოთავსებულ ბამბის დამხარისხებულ საამქრომდე, სადაც მექანიზებული წესითვე მიმდინარეობს მისი ჩეჩვა; დახარისხებული ბამბა შემდეგ აქვეთ მეორე სართულზე, სადაც აგრეთვე მანქანების მეშვეობით წარმოებს მისი ძაფებად დართვა; იმასაც გაგახსენებთ, რომ აქ დადგმულია ახალი სართავი მანქანები „სართავ-საგრეზო — 100“, რომლებიც ასრულებენ ძაფის დართვა-გრეზვის ყველა პროცესს და რომ თვითველ მათგანს შეუძლია შეცვალოს რამდენიმე ძველი სართავი მანქანა.

ჯიქიძის აზრით, თურმე არც საქონლის „მომხმარებელზე გაგზავნა მექანიზებული“ („სამწუხაროდ, უმნიშვნელო რამ არის გაკეთებული“). რას ნიშნავს ეს? ნუთუ ზურგით გადააქვთ საქონელი ფაბრიკიდან მაღალი დონის მამაკაცს?

მაგრამ მოდი დაეანებოთ თავი ამ განცხადებულ და უმიზნო მსჯელობას იმაზე, თუ რას ნიშნავს მექანიზაცია, იმაზე თუ რით განსხვავდება საბჭოთა ჰი-



როლიონ ქორქია

მინიატურა

ჩემი სტუდენტობის დროს ყოველ-  
დღე ვცხოვრობდი ვაჭარში:

— დამეკარგა ოქროს საათი. ასეთი  
და ასეთი. მნახველს ვთხოვ მოიტანოს  
ამა და ამ მისამართით. მივცემთ გასა-  
მრჩველს.

— დამეკარგა საფულე. შიგ აშენი  
ფულა. მნახველს ვთხოვ მოიტანოს  
ამა და ამ მისამართით. მივცემთ გასა-  
მრჩველს.

— დამეკარგა ბეწვის შავბურა. ახა-  
ლი და ძვირფასი. მნახველს ვთხოვ  
მოიტანოს ამა და ამ მისამართით. მი-  
იღებს გასამრჩველს.

და ასე, ყოველ სადამოძიოთ, იბეჭ-  
დებოდა ასეთი განცხადებები სალა-  
მოს გაუთებში. მხოველს მიჰქონდა  
პატრონთან დაკარგული ნივთი და  
იღებდა გასამრჩველს. ნივთები კი  
იკარგებოდა ქუჩაში, სიარულის  
დროს.

1914 წელს, ერთ ოთახში ვცხოვ-  
რობდით მე და რუსი სტუდენტი ვო-  
ლოშინოვი. ერთად ვხადილობდით  
სტუდენტთა სახაღმლოში. სადილი  
ძალზე დარბიული და ამიტომ ძალზე  
აიფი იყო. იყო ძვირიც, მაგრამ ჩვენ  
ხელი საღ მიგვიწვდებოდა და ვაღვ-  
ლით ხანდახან ნახევარ სადილზეც —  
ორი სტუდენტი იყიდა ერთ კერძს  
და გაყოფდა შუაზე. ეს ხდებოდა  
უფულობისას.

ერთხელ ვოლოშინოვი გახარებული  
შემოვიარდა ოთახში და მითხრა:

— მომილოცე! ოქროს საათი ვიპო-  
ვენი უბ, რა გასამრჩველს მომიცემენი  
და ამოიღო ჩიბიდან ოქროს საათი.

ეს იყო ქალის ოქროს საათი, ყელზე  
ჩამოსაკიდი. იმ დროს ასეთი საათი  
შარნად მიჰქონდა ხოლმე სასიძოს  
საცოლესთვის. ძვირი ღირდა: თხუთ-  
მეტი თუმანიდან ოცდაათ თუმანამდე.  
ფასი დამოკიდებული იყო იმაზე,  
შქონდა თუ არა საათს ძვირფასი  
თვლები.

ამ ნაბოვან საათს კი ზემო სახურავ-  
ზე რამდენიმე ძვირფასი წმიდა წყლის  
მარგალიტი ჰქონდა. ცხადი იყო: სა-

ათი მეტად ძვირფასი უნდა ყოფილი-  
ყო.

ვუყურებ ერთ ხანს საათს. წიკწიკე-  
ხდა. მაშასადამე, თოვლი რომ ჩა-  
ვარდა, არ დაზიანებულა. ბაჭალო  
ოქროს სახურავზე მარგალიტები ცია-  
ლებდნენ. საათს გრძელი ძეწვი ჰქონ-  
და, ორმაგი ძეწვი; გავზომეთ, შვი-  
დი მეტაკელი გამოვიდა. ასეთ ძეწვს  
ქალი ორ-სამჯერ შემოიხვევდა კისერ-  
ზე, ჩამოიწვავდა მკერდზე, რომ მთე-  
ლი ძეწვი ეჩვენებინა. ხოლო თვით  
საათს მკერდზე დაიხვევდა. ქალებს  
თავი მოჰქონდათ ასეთი ძვირფასი  
ნივთით.

შოდა, ერთ ხანს მონუსხულებივით  
ვუყურებდი ოქროს საათს. ბოლოს  
ვოლოშინოვმა წინადადის საღამოს გა-  
ზეთში ჰქვეა დაიწყო, უნდა ვნახოვო  
საათის პატრონის მისამართით. მისა-  
მართის პოვნა კი ძნელი არ იყო: სა-  
ათს მკაფიო ნიშნები ჰქონდა: ერთ-  
მანეთის გვერდით სამი თეთრი მარ-  
გალიტი.

— ვიპოვე! — წამოიძახა გახარე-  
ბულმა ვოლოშინოვმა.

დასტავა ქულს ხელი, საათი გაზე-  
თში გაახვია და გავარდა კარში.

ერთი საათის შემდეგ ვოლოშინოვი  
დაბრუნდა და აღტაცებით მითხრა:

— როგორ გავხარდათ! თურმე ქა-  
ლის მზითველი ყოფილა, დედის ნაჩუ-  
ქარი. იტირა საწყალმა ქალმა. ვანა  
ოქრო-მარგალიტი მენანებოდა? დე-  
დის საჩუქარი იყო, ჩემი საყვარელი  
დედიკოსი... ვადამხვია და შუბლზე  
მაკოცა. მერე აიღო საფულე, ამოიღო  
წითელი თუმნაინები და...

— და? — იხე შეგვეოთხე, რომ  
ხუნტქვა შემეკრა. თვალწინ წარმო-  
მიდგა ოქროს საათი, ატირებული ქა-  
ლი და წითელი თუმნაინები.

— სანამ თუმნაინებს გამოიწვდი-  
და, მე უკვე ქუჩაში ვიყავი.

მე და ვოლოშინოვმა ერთმანეთს  
ხელი ჩამოვართეთ. იმ დღეს ერთად  
ვისადილეთ: სტუდენტური სადილი  
შუაზე გავიყავით.

კარი ადრე ფეოდალური ეპოქის ჰიპოტეზისაგან. ეს არ არის არსებითი. აქ მთა-  
ვარი და არსებითია ის, თუ რატომ ხდება, რომ სართავი ფაბრიკა ვერ ასრუ-  
ლებს საწარმოო გეგმას, რატომ ხდება, რომ მუშები მირბიან აქედან, რატომ  
ხდება, რომ გასული წლის ცხრა თვის მანძილზე კომბინატში სამუშაოდ მიიღეს  
808 კაცი, ხოლო კომბინატიდან წავიდა 948 კაცი. შემდეგ, რატომ აქამდე ვერ  
მოახერხეს მუშათა დაკმაყოფილება საერთო საცხოვრებლოთ, საბავშვო ბავით  
და საბავშვო ბაღით და ა. შ. ყოველივე ამის გამო ჯიქიძე წერს: „წერილის  
ავტორი გარკვეული სიტყვებით აღწერს სართავი ფაბრიკის მიერ ცხრა თვის  
გეგმის შესრულებლობის მიზეზების მხოლოდ ერთ ნაწილს“. შემდეგ პასუხის  
ავტორი აღნიშნავს, რომ ფაბრიკის ჩამორჩენის ჩვენს მიერ დასახელებული  
მიზეზები „მნიშვნელოვანი მიზეზებია“, მაგრამ თურმე არსებობს „კომბინატის  
ხელმძღვანელებთან არსებული მასალები“, რომლებიც მოწმობენ, რომ ამ  
ხელმძღვანელებს არა ერთხელ აღუძრავთ საერთო საცხოვრებლის, ბინათმშე-  
ნებლობის, საბავშვო ბავა-ბაღის გაფართოების საკითხი. მერე რა რომ აღუძ-  
რავთ? მთავარია, გაკეთდეს საქმე. ჩვენც იმიტომ აღუძრით ეს საკითხები, რომ  
საქმე დავაჩქაროთ, რომ ზემდგომმა ორგანოებმა დროზე მიაქციონ ყურადღება  
კომბინატის სამართლიან პრეტენზიებს? რა არის აქ საწყენი ან შეურაცხყო-  
ფელი?

გარდა ამისა, სართავი ფაბრიკის ჩამორჩენის მიზეზებად ჩვენ დავასახე-  
ლეთ მუშათა დენადობაც, მათი დაბალი კვალიფიკაცია, შრომის ნაყოფიერე-  
ბის დაბალი დონეც, ცუდი ვენტილაცია საამქროებში და ა. შ. მაგრამ მთავა-  
რი მექანიკოსი ამ საკითხებზე არაფერს ამბობს, თუმცა აღნიშნავს, რომ კო-  
რესპონდენტმა ფაბრიკაში არსებულ ნაკლოვანებათა „მხოლოდ ერთი ნაწილი“  
აღწერს. მაშ ყოფილა ჩამორჩენის სხვა მიზეზები? მერე რა რატომ არაფერს  
ამბობს ამ მიზეზებზე მთავარი მექანიკოსი? ჩვენ ძალიან ვუწუხვართ, რომ ხელთ  
არა გვაქვს სართავი ფაბრიკის ჩამორჩენის მიზეზების ის „მეორე ნაწილი“,  
რომელიც როგორც ეტყობა, მარტო ამხანაგმა ჯიქიძემ იცის.

კიდევ ერთი საკითხი: როგორც ცნობილია, სექტემბრის პლენუმმა დასახა  
კარდინალური ცვლილებები მრეწველობის ორგანიზაციის ხელმძღვანელობის  
მეთოდებში; ამისდა მიხედვით, კომბინატის მუშაობის გაცნობის შემდეგ ჩვენ  
წამოგაყენეთ წინადადება — ხომ არ ჯობდა სართავი ფაბრიკისა და სატრიკო-  
ტაჟო ფაბრიკის ერთმანეთისაგან გამოყოფა? ეს წინადადება ნაკარნახევი იყო  
იმ ფაბრიკებში, რომ სართავი ფაბრიკა მოწოდებულია შექმნას მაღალი ხარის-  
ხის ბამბის ნართი, რომელიც იგზავნება საბჭოთა კავშირის მრავალ რაიონში,  
მარტო ძალიან მცირე რაოდენობის ნართი გამოიყენება კომბინატის მეორე  
საწარმოში — სატრიკოტაჟო ფაბრიკაში, სადაც, პირიქით, წარმოების ძირი-  
თად ნედლეულს — ვისკოზის, კაპრონისა და აცეტატის ძაღს საბჭოთა კავში-  
რის სხვადასხვა ქალაქებიდან იღებენ. ასე რომ, როგორც მუშაობის თავისე-  
ბურებებითა და პირობებით, ისევე პროდუქციის ხასიათით ეს ორი ფაბრიკა  
თითქმის არაფერით არ არიან ერთმანეთზე დამოკიდებული. მაშ ხელოვნურად  
ხომ არ არის ეს კომბინატი შეკოწმებული? მით უმეტეს, რომ ორივე ფაბრი-  
კას უკვე ჰყავს სრულიად დამოუკიდებელი საწარმოსათვის საქმარისი ადმინის-  
ტრაციული შტატი? ამასთან ხაზი გავუსვით, რომ „ჩვენს აზრს თავზე არავის  
ვახვევთ“ და, მაშასადამე, კომბინატის ხელმძღვანელობას შეუძლია გაიზიაროს  
ან არ გაიზიაროს ჩვენი წინადადება.

აი, რას სწერს ამხანაგი ჯიქიძე ჩვენი ამ წინადადების გამო:

„კომბინატის გაყოფაზე ფანქარისა და ქაღალდის გარეშე (!) ოცნებობენ  
ის ადამიანები, რომლებიც ამ საქმეში მოელიან მხოლოდ პირად სარგებლო-  
ბას“. ესეც თქვენ! პირდაპირ გულში მოახვედრა ამხანაგმა ჯიქიძემ კორესპონ-  
დენტს. თურმე თურნალ „დროშის“ კორესპონდენტი მოელის პირად სარგებ-  
ლობას და ამიტომ ოცნებობს, თუ როდის დადგება ის დღე, როცა სართავი  
ფაბრიკა გამოეყოფა სატრიკოტაჟოს? ახლა კი, როცა ფაბრიკები ერთ კომბი-  
ნატად არიან გაერთიანებულნი, კორესპონდენტი, უნდა ვიგულისხმოთ, რომ  
სამინელ ზარალს განიცდის და ამიტომ წერს და წერს, ოცნებობს „ფანქარისა  
და ქაღალდის გარეშე“.

ხუმრობა იქით იყო, და „ერთიანობის დამცველი“ ამხანაგი ჯიქიძე აცხა-  
დებს, საწარმოთა ერთმანეთისაგან გამოყოფა გამოიწვევს პროდუქციის თვით-  
ღირებულების ზრდას ორივე ფაბრიკაში, სართავი ფაბრიკის არარენტაბელო-  
ბას (!), ტერიტორიალურ მოუწყობლობას (!), სამეურნეო ხარკებისა და საშტა-  
ტო ერთეულების გადიდებას და სხვა „მოსალოდნელ სიძნელებებს“. შეიძლება  
მას დაავიწყდა, მაგრამ ჩვენ გავახსენებთ, რომ კომბინატი უამისოდაც ვერ ამ-  
ციირებს რამდენადმე პროდუქციის თვითღირებულებას, ვერ ასრულებს შრომის  
ნაყოფიერების ამაღლების გეგმას, ბამბის ნართის დამზადების გეგმას, ხშირად  
იხდის ჭარბი მარტო (მარტო გასული წლის 9 თვეში გადაიხადა 59 ათასი მანეთი  
ჭარბმა). რაც შეეხება გაყოფის შედეგად საშტატო ერთეულების გადიდებას,  
ამის შესახებ უკვე აღვნიშნეთ, რომ ორივე ფაბრიკას უკვე ჰყავს სრულიად და-  
მოუკიდებელი საწარმოსათვის საქმარისი ადმინისტრაციული შტატი და მის  
გადიდებას არავითარი საჭიროება არ მოითხოვს. პირიქით, ადმინისტრაციული  
შტატი შემცირდება კიდევ.

ამგვარად, როგორც ვხედავთ, ის ნაკლოვანებანი, რაც ჯიქიძის აზრით  
უქვეყნოდ წარმოიქმნება ფაბრიკების გამოყოფის შედეგად, ახლაც საქმად  
საგარნობია ფაბრიკების ერთ კომბინატად არსებობის დროს. სწორედ ამიტო-  
მაც დამატებით გვეძლევა საბაბი ვიფიქროთ: ხომ არ აღმოგზვრის ამ ნაკლოვან-  
ებებსავე სრულიად სხვადასხვა, ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი საწარმოე-  
ბის გამოყოფა? ვიმეორებთ, ჩვენ აზრს თავზე არავის ვახვევთ, მაგრამ კომ-  
ბინატის ხუთი ათასიანი კოლექტივი არც ისეთი პატარა კოლექტივია, რომ მისი



# უჩიუი და გთაჯგუნაი

საფრანგეთში კარგა ხანია არსებობს ლანგლუას პრემია, რომელსაც იქაური აკადემია ყოველწლიურად ანიჭებს ფრანგულ ენაზე გამოსულ ყველაზე საუკეთესო თარგმანს. ამას წინათ ეს პრემია მიენიჭა „ვეფხისტყაოსნის“ ფრანგულ თარგმანს, რომელიც შესრულებულია სერგი წულაძის მიერ.

„ვეფხისტყაოსნის“ თარგმნაზე მუშაობა სერგი წულაძემ 1958 წლიდან დაიწყო აკად. შალვა ნუცუბიძის კონსულტაციითა და ხელმძღვანელობით. მან ჯერ ბწყარედი გააკეთა. შემდგომში იუნესკომ წინადადება მისცა სერგი წულაძეს „ვეფხისტყაოსნის“ სრული პოეტური თარგმნისათვის მოეკიდებინა ხელი.

თარგმანზე სერგი წულაძე სამ წელს მუშაობდა. შოთას უკვდავი პოემა, რომელიც საფრანგეთის უდიდესმა გამომცემლობამ „გალიმარმა“ გამოსცა, იუნესკოს თვალსაჩინო ნაწარმოებთა კრებულში შევიდა. უცხოეთის პრესამ თარგმანს მეტად მაღალი შეფასება მისცა. ფრანგული და ინგლისური გაზეთები აღნიშნავენ, რომ მთარგმნელმა, დასავლეთისა და აღმოსავლეთის კულტურების კარგმა მცოდნემ, შესანიშნავად გაართვა თავი მეტად რთულ ამოცანას, კარგად შეუხამა დედნის რიტმი ფრანგულ რიტმს (თექვსმეტმარცვლიანი წყობა) და საუცხოოდ გადმოსცა ორიგინალის ელერაობა ფრანგულ ენაზე.

სერგი წულაძეს „ვეფხისტყაოსნის“ გარდა, ფრანგულ ენაზე ნათარგმნი აქვს გ. ტაბიძის, ირ. აბაშიძის, კ. კალაძის ლექსები. მასვე გადაწყვეტილი აქვს უახლოეს ხანში ხელი მოჰკიდოს სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნე სიცრუისას“ თარგმნას.

სერგი წულაძეს ძალზე საინტერესო ბიოგრაფია აქვს. იგი სამი წლისა იყო, როცა მშობლებმა საფრანგეთში წაიყვანეს. საქართველოში იგი უკვე ჰალარაშერეული დაბრუნდა. საფრანგეთთან და მის დედაქალაქ პარიზთან წულაძეს ბევრი მოგონება აკავშირებს. მან პარიზში დამთავრა ლიცეუმში, შემდეგ სწავლობდა სორბონის სამედიცინო ინსტიტუტში, რომლის დამთავრების შემდეგ ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის ფაკულტეტზე განაგრძო სწავლა.

1940 წელს, როცა ჰიტლერელები საფრანგეთში შეიჭრნენ, სერგი წულაძე საფრანგეთის ეროვნული წინააღმდეგობის რიგებში შევიდა. შემდგომში იგი მეთაურობდა პარტიზანთა ჯგუფს, რომელიც საფრანგეთის დედაქალაქის რაიონებში მოქმედებდა.

სერგი წულაძე ცნობილი ექიმი-ფსიქიატრია. ამჟამად იგი მუშაობს თბილისის ფსიქიატრიის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში, სადაც პათოფსიქოლოგიისა და ფსიქოთერაპიის განყოფილებას განაგებს. ამჟამად იგი სადოქტორო დისერტაციაზე მუშაობს.

აი, როგორ ახასიათებს ს. წულაძეს გამოჩენილი მეცნიერი, აკად. ა. ზურაბაშვილი.

„სერგი წულაძე კარგი კლინიცისტი და ადამიანის ფსიქოლოგიის შესანიშნავი ანალიტიკოსია. როგორც ფსიქოთერაპევტი, იგი მშვენივრად ფლობს ფსიქოანალიზური კვლევის მეთოდებს და ღრმა ცოდნა აქვს ელექტროფიზიოლოგიის დარგში“.

კიდევ ერთი დეტალი ს. წულაძის ბიოგრაფიიდან: ახალგაზრდობაში იგი გატაცებული იყო სპორტით და თამაშობდა საფრანგეთის პირველი კლასის საფეხბურთო გუნდის „სტრტ ფრანსის“ სათადარიგო შემადგენლობაში.

ალბათ ამიტომაც იყო, რომ ყოფილი ფეხბურთელი და გამოჩენილი სპეციალისტი თბილისის „დინამოში“ მიიწვიეს ფსიქოლოგიურ მრჩეველად. თბილისის დინამოელებს წელს სერგი წულაძის სა-



ხით ეყოლებათ ექიმი-ფსიქოლოგი, რომელიც ფეხბურთელებთან პრაქტიკულად გამოიყენებს განწყობის მეთოდს და ხელს შეუწყობს მათი ბრძოლისუნარიანობის ამაღლებას. წულაძეს მიაჩნია, რომ ფსიქოლოგიურ ზემოქმედებას, სულ ცოტა, 2-3 პროცენტით მაინც შეუძლია გაზარდოს ჩვენი ფეხბურთელების გამარჯვების შანსები.“

ფოტო მ. თურქმანსი

ზემოთ — ს. წულაძე, მისი მეუღლე მადლენა და სსრ კავშირის სახალხო არტისტი, ლენინური პრემიის ლაურეატი ს. ზაქარიაძე; ქვემოთ — აკად. ა. ზურაბაშვილი და ს. წულაძე; მარჯვნივ — ვახტერნება ქალაქგარეთ.

## პასუხი სახალხო მოსამართლე

სამშობროს სათქმელად და ოჯახისათვის ნუგეშის მისაცემად უამრავი ხალხი მოვიდა; ეს მართლაც, მეტად სამწუხარო ამბავი იყო: საუკეთესო ახალგაზრდა კაცი თავისივე ამხანაგის ხელით დაიღუპა. ეს შემთხვევით მოხდა, მაგრამ ამ შემთხვევითობას წინ უსწრებდა გარემოება, რომლის შესახებაც აღელვების გარეშე ლაპარაკი შეუძლებელია.

1965 წლის 20 დეკემბერს, თბილისში, ერთ ოჯახში ახალგაზრდებმა თავიანთი თანატოლის დაბადების დღეზე მოიყარეს თავი. აქვე იყო სოფლიდან ჩამოსული ახალგაზრდა ექიმი, რომელიც თურმე რევოლუციის ატარებდა და, როგორც კი ცოტას დალევდა, იარაღით თავის მოწონება ჩვეულებად ჰქონდა გადაქცეული. მასავით იარაღის მოყვარული აღმოჩნდა მასპინძლის ვაჟიშვილი, რომელმაც გამოართვა ექიმს რევოლვერი, დაუწყო თამაში და უმიზნოდ გაისროლა. ტყვია მოხვდა იმ საბედისწერო წუთში შემოსულ სტუმარს და სასიკვდილო ჭრილობა მიაცუნა.

ვისაც ვინდათ შეეკითხოთ, ყველა ერთ რამეს იტყვის: დამნაშავე მკაცრად უნდა დაისაჯოს. მაგრამ ამის გაკეთება შეუძლებელია; კანონი ამის საშუალებას არ იძლევა. გაუფრთხილებლობით მკვლელობა სამ წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს, იგი განსაკუთრებით საშიშ დანაშაულთა რიცხვს არ მიეკუთვნება და თუ მკვლელობა სასჯელის მოხდის პროცესში არ დაარღვია საპატიმრო ადგილების შინაგანაწესი, ადვილად შესაძლებელია სასჯელის ნახევარი ვადის გასვლის შემდეგ განთავისუფლდეს კიდევ. ასეთ დამნაშავესთვის არც სასჯელის მოხდის პირობებია მკაცრი. ასეთი სასჯელი ვერ ახდენს საჭირო ზემოქმედებას იმ ადამიანებზე, რომლებიც ხვალ ჩაიდენენ ანალოგიურ დანაშაულს.

ჩვენ ხშირად ვლაპარაკობთ კანონის ჰუმანურობაზე და მის აუცილებელ თანაფარდობაზე ჩადენილ დანაშაულის სიმძიმესთან, მაგრამ გვაიწყობება, რომ ცუდად გაგებულ ჰუმანურობას ზოგჯერ გამოუსწორებელ შედეგებამდე მივყავართ, საზოგადოებას იგი ისეთ ფასად უჯდება, რომლის ანაზღაურება ადამიანის ძალას აღემატება.

სწორედ ასე ექცევა კანონი იმ მკვლელს, რომლის მოქმედება გაუფრთხილებლობის შედეგია.

ჩვენი აზრით, ამ საკითხზე კანონი არაზუსტია. ამის მიზეზი კი ის არის, რომ ყველა გაუფრთხილებლობით მკვლელობა დანაშაულის ერთ სფეროში არის მოქცეული. რამდენიმე წლის წინ ასეთი ამბავი მოხდა: მშენებლობაზე ორმა ახალგაზრდამ საშენი მასალის ასატანი ლიფტით გართობა გადასწყვიტა. ერთი წამოჭდა ლიფტის ბაქანზე, ხოლო მეორემ ხელი დაჰკრა ლიფტის და ლიფტი აამოქმედა. როდესაც ბაქანმა უმაღლეს წერტილს მიაღწია, ახალგაზრდამ, რომელიც ქვემოთ იყო, ლიფტის მოძრაობა ვერ შეაჩერა, ამწე ტრასი

გაწყდა და ბაქანზე მყოფი ახალგაზრდა დაიღუპა. ასეთი ამბავიც მოხდა: მუშა თავისი ძალით ვერ შესძლო დაემარებინა ღვინის კასრი, იგი დაგორდა და სასიკვდილოდ დააზიანა მოქალაქე, რომელიც იმ დროს იქ შემთხვევით აღმოჩნდა. ესეც გაუფრთხილებლობით მკვლელობათა რიცხვს ეკუთვნის. ასევე გაუფრთხილებლობით მკვლელობასთან გვაქვს საქმე, როდესაც მოქალაქე, ყოველგვარი საჭიროებისა და ნებართვის გარეშე ატარებს ცეცხლსროლელ იარაღს და, შექიფიანიებული, ხალხის თავშეყრის ადგილზე იწყებს უმიზნო სროლას და ჰკლავს უცნობს, ან თუგინდ თავის განუყრელ მეგობარს.

აქ მცირეოდენი განმარტება დაგვიჩვენება: ცეცხლსროლელი იარაღის უნებართვოდ ტარებისათვის მართალია კანონი ცალკე სასჯელს ითვალისწინებს, მაგრამ ერთობლივი დანაშაულის დროს უდიდესი სასჯელი (ამ შემთხვევაში, გაუფრთხილებლობით მკვლელობისათვის განსაზღვრული სასჯელი უფრო დიდია) ფარავს უმცირესს და საბოლოოდ დამნაშავე იხდის მხოლოდ ერთ სასჯელს.

განა შეიძლება უმიზნოდ გასროლილი ტყვიით ჩადენილი მკვლელობის გაიგივება სხვა სახის გაუფრთხილებელ მკვლელობასთან? აი სწორედ აქ არის კანონის არათანაფარდობა და იმ აღმშოთების საფუძველი, რასაც საზოგადოება სამართლიანად გამოთქვამს.

ცეცხლსროლელი იარაღის უნებართვოდ ტარება კანონით ორ წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. თუ იმავე იარაღით მკვლელობა იქნა ჩადენილი, როგორც ადრევე იყო აღნიშნული, მაქსიმუმში სამი წელი თავისუფლების აღკვეთაა.

რამდენად ლოგიკურია ყოველივე ეს? კანონის არათანაფარდობა უფრო ნათელი ხდება, როდესაც ასეთსავე შედეგზე გვაქვს ლაპარაკი ტრანსპორტზე ავარიის დროს. კანონით ავტო ან სხვა სახის ტრანსპორტის მუშაის მიერ სატრანსპორტო წესის დარღვევა, რომელსაც შედეგად მოჰყვა ადამიანის მსხვერპლი, ისევე ათ წლამდე თავისუფლების აღკვეთით. ამჯერადაც ხომ გაუფრთხილებლობასთან გვაქვს საქმე და არ შეიძლება ლაპარაკი, რომ შოფერმა დანაშაული განზრახ ჩაიდინა!

თუ კანონმდებელი ტრანსპორტის მუშაის აკისრებს ვადლიერებულ პასუხისმგებლობას, რატომ ასეთი არ უნდა ეკისრებოდეს იმავე ზომით იმ პირს, რომელიც უნებართვოდ და თუნდაც ნებართვით ატარებს ცეცხლსროლელ იარაღს და იყენებს მას არადანიშნულებისამებრ, სიმთვრალეში ან სხვა ისეთ პირობებში, რომლებშიც განსაკუთრებული სიფრთხილე და თავდაპირა უნდა გამოავლინოს.

ცხოვრება გვარწმუნებს, რომ სისხლის სამართლის კოდექსის ცალკეული მუხლები ფაქტიურად ვერ ემსახურებიან თავის დანიშნულებას.

საჭიროა გაუფრთხილებლობით მკვლელობის საკითხებზე კანონმდებლობის გადასინჯვა და დანაშაულისა და სასჯელის ასეთი თანაფარდობის დადგენა, რომელიც ცხოვრებითაა ნაკარნახევი.

*საქართველოს  
საქვეყნო*

### ნოღარ ნარსია

ზამბახი, ვრაკლა, ლურჯი ცინია,  
ეს ფურისულა და ქრიწანთემა...  
შენთვის მდერთან და იცინიან  
და ხული როგორ დაგეზამთრება!  
ირმა! — ყვავილთა თერთო მნათობო,  
ვარდები გდევნ ფერთა მაყრულით,  
იხე ბრწყინავენ, იხე გართობენ,  
როგორ გექნება გული ნაკლული.  
ირმა! — სიცოცხლევ ჩემებრ კაცისა,  
თერთო სიწმინდე დაუხარჯველო,  
შენს აივანთან ტოკავს ნარციხი,  
უკვდავებაში რომ დამაჭეროს.

როგორ დატოვებ ამ ქვეყანასო,  
გამიგონია, სადაც მივედი...  
და მინდა: — ბევრი ღვინით აგავხო,  
რადგან შენა ხარ გზა და იმედი.  
ღამის გადვიქცე მარტო ღიმილად,  
უამრავ ფერებს ვიძღვნი ისევე,  
შემოგზავნია ველზე გვირილა  
და შენს თითებში ვარდი ისვენებს.  
ირმა! — ყვავილო მაგნოლიისა,  
სიცოცხლის სიმი თუ არ გაწყდება,  
თერთო ყვავილო მაგნოლიისაგ —  
მოგიძღვნი ამ გულს და გატაცებას.  
ფერი წითელი, მუქი ცისფერი,  
მომაქვს და... ვიცო: — გატკბობს,  
განაზებს,  
შენი ხმალი და ჩემი კისერი,  
ოღონდაც მყავდე ამ ქვეყანაზე.

### ქიქარე

ეს, მთვარე, მთვარე  
დამწვართ იმედო...  
მე მიჩვენება, დრუბელი ხენშის,  
როცა დრუბლებში ანთია მთვარე.  
ძვირფასო,  
მე მას ავიყვან ხელში,  
ანდა გავატან შიხის ქარებს.  
ძვირფასო,  
ზარებს მთვარეზე ვრეკავ,  
კვლავ ძველებურად ანათებს  
თუმცა...  
შეეუარებ მე მის ვეება გქრანს  
და მის ცხოვრებას წიგნივით  
ვფურცლავ.  
და თუმცა დღემდე ვეძახდი  
ციერს,  
თურმე ტყუილად მტანჯავდა ექვი,  
მიწის კენჭივით მჩატე და მცირე,  
აგდია მთვარის უბრალო კენჭი.  
და მინდა ახლა —  
შენ მყავდე გვერდით,  
გაიშლებოდა კერიის ბოლი...  
მე ვიქნებოდი მალაღი ღმერთი,  
შენ ანგელოხი — ბოლოს და  
ბოლოს.

და გვექნებოდა პატარა ქოხი,  
შიგ იმედივით ივლიდა ქარი...  
და ვიცხოვრებდით შფოთვით  
თუ ოხვრით,  
შენ ცოლი ჩემი, მე შენი ქმარი.  
და გვექნებოდა პური და მღოვავი,  
(თორემ ვერ ვუვლი ხაკუთარ  
თავხაც)  
კახური ღვინოც, ჩვენებურ  
ღოქით,  
და ხულ ეს არის — ვინატრი  
რახაც.  
მე გეძახი და გავდივარ მინდვრად,  
(მთვარის მინდვრებზეც  
ბევრია ვარდი)  
და შენი თმების სურნელი მინდა,  
და ერთადერთი შენა ხარ ღარდი.  
შენ კახას მომგავს მთვარეზე  
ნისლი,  
მთვარეზე უფრო ფერადი მზეა...  
და ვყვირი ახლა და ექოდ ისმის —  
მზია... მზია... მზია!  
ჩირადანავით მიჭირავს გული,  
და ახლა შენი იმედით ვცხოვრობ...  
და მთვარისებულ ყვავილებს  
ყვლი,  
ეს მხოლოდ შენთვის, —  
მხოლოდ და მხოლოდ.



# დახმარე მუშა

## იუმორისტული მოთხრობა

ახალი ბინის ორდერი რომ მომცეს, სიხარულისგან მეშვიდე ცაზე აფრინდღი.

ცოლი ორ მოცქიფულ ოთახს უვლიდა და ბრძანებებს იძლეოდა:

- ლოჯია ოთახად!
- საბაზანოს ნახევარი მეტრი სამზარეულოს!
- ეს კარი იქით ჩამოიკიდოს, ის აქეთ!
- ონკანი შეიცვალოს, ჩეხური იშოვე, „ტილეფონს“ რომ ეძახიან, ის!
- ქალო, შენი ღაბარაკით ეს სახლი თავიდან უნდა ავაშენოთ?
- ერთი კვირით შევბუღებთ აიღე და რაც გითხარი, გააკეთე — დაამთავრა ცოლმა.

შევბუღება ავიღე. უახლოესი მასივების მშენებლობები დავიბრინე და მასალა მოვზიდე.

ლოჯიას შემინვისას გავაფუჭე ორი კუმბეტრი ფიცარი, სამი ხერხი, ერთი შალაშინი და ორი საკუთარი თითი. საბაზანოს კედელი დავანგრეე, ახალი კი მრუდედ გამომიღოდა. კარი იქიდან ჩამოვხსენი, აქეთ ველარ დავკიდე. ჩამოვანგრეხე, ჩამოვთალე, მერე კი სარდაფში ჩავიტანე და ახალი შევუკვეთე.

ერთი კვირაც გავიდა. ცოლმა გაანჩხლებით გადამომხედა და მერე პუშკინის ქურისკენ გასწია ხელოვნის მოსაყვანად.

- აქ რა, ჩემამდე შაბ-აბაზი იყო? — იკითხა ხელოსანმა, როცა ჩვენს ბინაში შემოვიდა. — რვა თუმანი დაქდება!
- ორმოცი — თქვა ცოლმა.
- სამოცდათხუთმეტი!
- ორმოცი!
- სამოცდაათი მანეთი!
- ორმოცი მანეთი, სადილი, სასმელი და დამხმარე მუშა — თქვა ცოლმა.
- ეგრე იყოს, მე ხათრიანი კაცი ვარ! — თქვა ხელოსანმა და იარაღების მოსატანად წავიდა.
- არ გაამხილო, ჩემი ქმარი რომ ხარი — მითხრა ცოლმა.
- გაგიფიქრე, ქალო ვითომ რატომ?
- იმიტომ, რომ შენ იქნები დამხმარე მუშა!
- ა...
- ჯანდაბა! ამდენი რომ ვიწარალეთ, არ გეყოფა? ეკონომიაა საჭირო!
- და მე ისევე ავიღე შევბუღებმა.
- შენი სახელი? — მკითხა ხელოსანმა.
- გიორგი!
- წნაჩიტ, უორა. მე ლევანიჩი ვარ, გაიგე?
- გაიგე, ლევანიჩ!
- წადი ეწოში, „რასტვორი“ მოაშაად!
- როგორ?
- ვახ, შენ სულ არიფი ხარ? ადრე სად მუშაობდი?

- აფთიაქში...
- ი, კალცეკსა ყოფილხარ!

ორ დღეში ისე გავიწაფე, უსიტყვოდ ვხვდებოდი ლევანიჩის სურვილს.

- კალცეკს, ფიცარი მოიტა!
- კალცეკს, ოხრა გააზავე!
- ეგ ნაგავი ჩაიტანე, არ გადაუარო. მეწობლები გაჯავრდებიან!

ჩამაქვეს, ამაქვეს, ვაზავებ, ვთლი, ვკედავ და ვნატრობ ლიფტს.

მეოთხე დღეს მოვრჩით. დამკვეთი კმაყოფილი დარჩა და ლევანიჩს მიუბრუნდა:

- წადი, სასმელი მოიტანე და ისადილეთ!
- კალცეკს, გასტრონომში!

დავლიეთ. უფრო სწორედ, ლევანიჩმა დალია. მე რას ვაგებდავდი. წავა ლევანიჩი და ისევე ცოლის ხელში დავრჩები.

- კარგი ქალია, აი — თქვა ლევანიჩმა და ჩემს საკუთარ ცოლს თვალი გააყოლა.
- ისე, რა! — ვთქვი მე.
- შენ სად გიპოვნა?
- აქვე, მეწობლად ვცხოვრობ.
- ჯიჯიანი ქალია, სუფთა ეშხი! — მოილოკა ტურები ლევანიჩმა.

სიბრაზისგან მუშტები შემეკრა, მაგრამ წარალი და ეკონომია გამახსენდა და გავჩუმდი.

როგორც იქნა, ანგარიში გასწორდა. ლევანიჩმა ორმოცი მანეთი მიიღო, მე ათი.

- ცოტაა! — თქვა ლევანიჩმა.
- ასე არ მოვრიგდით?! — გადმოქაჩა თვალები ცოლმა.
- უორასია ცოტა, მიეცი ხუთი მანეთიც!
- არაფერსაც არ მივცემ!
- ვახ, მაშ ეხეთი ოქრო უნდა დაიხაგროს! — კინაღამ ატირდა ლევანიჩი, მერე ხუთი მანეთი ამოიღო და ჯიბეში ჩამიდო — წამო, კალცეკსა-ჯან, სულ ჩემთან იმუშავე, არ დაიკარგები!
- ზო, ლევანიჩ, ხვალ მოვალ! — დავაწუნარე მე და კიბეს ჩამოვყვეთი.

ლევანიჩმა სამჭერ მაკოცა ტურებში და ბარბაცით წავიდა.

მე შინ დავბრუნდი. კიბეზე ასვლა გამიჭირდა, ხელები და ფეხები მიბუწოდა, წელი მტკიოდა.

- მომეცი თხუთმეტი მანეთი! — მიბრძანა ცოლმა.
- ეს მე... — დამება ენა — ეს მე პატიოსანი შრამ...

ცოლმა წარბები აწიდა. ვიცი, თუ რას ნიშნავს ეს და ფული მაგიდაზე დავდე.

- მე რომ არ გყავდე, რა გეშველებოდა, შე უბედურო! — შემეცოდა ცოლმა და თხუთმეტი მანეთი ჯიბეში ჩაიღო.

გივი კონტრია

წარუქი ჭეჭე-ქახილი

იქუხებს ცაში მები და  
გაღმოსკდებიან წყარონი;  
გამოვლენ სვანი ეხიდან,  
მამაცნი, უანგარონი.  
გაიკლანება ელვა და  
აღინთებიან ღვიანი,  
გაჩნდება მთაში ხელადა,  
ციცხლი და მწვადი ცვრიანი.  
ქედებს შევერცხლავს აისი,  
შებოქავს ზვავებს და ღვარებს,  
მზისფერი ედღეღვიანი  
მზეს გადარჩენას ახარებს.

არსე ყვერყუხის ქაჩი

მყუდრო, სწორი, ლამაზი და ფართო,  
ორდესავით მკერდგაშლილი ქურჩა  
მიდის დაბლა, სამი ხეა მარტო,  
სკოლაა და ხალხი — ერთი მუჭა.

აღარ მინდა ფიქრით ჩამოვშორდე —  
თითქოს აქვე დადიოდა გუშინ...  
მოდის, დინჯად მეგებება ორდე  
და ძმასავით მიკრავს კეთილ გულში.

კაცს ეყოფა ერთი ბეწო შევბა,  
მეგობრობას — შუქი ერთი მუჭა...  
მივდივარ და გულნაკლული მრჩება  
ორდესავით მკერდგაშლილი ქურჩა.

## პაპი ლოლბანი

ხე ვაშიქრეჭი

როგორც სიცოცხლეს, ვერ შეგიღვივი  
ახე კარგხა და ახე სასურველს, —  
შენ,  
ვისაც ახე ძლიერ გაღმერთებ,  
იქნებ სიმღერით გაუფასურებ.  
იქნებ ისა ხარ,  
ვისაც ვერ ვნახავ,  
ვერც მოჩვენებით, ვერც წმანებით,  
იქნებ განცდა ხარ, ან ტივილები,  
თავს რომ არახდროს არ მანებებენ.  
დამატარებდი დაუსრულებლივ,  
დაუსაბამოდ...  
გაუთავებლად...  
იქნებ დილა ხარ,  
იქნებ საღამო,  
ძილი, სიშარბი ან უკვდავება.  
იქნებ სიტყვა ხარ, სიტყვა ფარული,  
გულში სათქმელად მწივ შენახული,  
ვიცი, ვინცა ხარ,  
ვიცი, ვინცა ხარ,  
ჩემს კართან მდგარი ვით გაუფხულო.  
ვით მოჩვენება, ნუ გამიჭრები,  
იდუმალემა შენი გამანდე,  
და ვით სამშობლოს ცა და ფიქრები  
ჩემზე იყავი უამით-უამამდე.



# სხრამის სასაფლაო



სოფო ხიზანიშვილი

დადება თუნდაც სულ ახლო წარსულში, დიდი-სამშულო ომის დროს, მაგრამ ახლა იკითხეთ ვინ უფლის მათ საფლავებს?

მარტო მოხუცი სოფო ყოველ კვირა დილით, წამოდგება თუ არა, ეკლესიისაკენ გასწევს, საფლავების ცოცხით ასუფთავებს, ღორღს სვეტავს, კუთხე-კუთხულებს ახლაბულებს შოა ცილებს.

— დიდა სოფო, სტუმარია ჩამოსული, ცხრა ძმა ხერხეულიძეების საფლავებს ვერ გვაჩვენებ? — სთხოვს სოფელმა ბიჭებმა.

დედაკაცს თვლები გაუბრწყინდა და აივნიდან დაიძახა:

— გაჩვენებთ, მამა! ცოტა ხნის შემდეგ ეკლესიის ეზოში ვიყავით. მოხუცი საფლავის ქვებს დასტრიალებდა.

— ხედავთ, ლეჩაქით და ჩიხტაკოპით, ეს ცხრა ძმის დედაა, ეს ქალი კი — იმ ბიჭების დაა, დახოცილ ძმებს რომ ეძებდა — გვიყვება ლეგენდასავით შემორჩენილ ამბებს.

— სოფლის ბოლოს ნაომარს ვეძახით, სწორედ იქ მოხდა ის დიდი ხოცვა-ჟლეტა. ჩვენ ჯარებს გიორგი მიუძღოდა წინ, სააკაძე... მარაბდიდან გავიდნენ საომრად ცხრა ძმა ხერხეულიძეები. ბოლოს კენტად დარჩენილ ერთ ძმას დედა მიეშველა თურმე... აი, ეს ერთი ძმა, შვილო, ეს მეორე, მესამე, მეოთხე...

დედაკაცი ცოცხით ასუფთავებს, გამხმარ თითებს ისე უხვამს ლოდებზე, თითქოს ეფერებოდ, თან ჩურჩულებს.

— შარშან, ენკენისთვის იყო, სატიკარმა ჩამაგდო ლოგინად მთელი ზამთარი, გაზაფხული, თითქმის მკათათვემდე ვეღარ წამოვდექი. მაგრამ ალბათ სიცოცხლის უავლი ჯერ არ გასულიყო, ისევ მოვიხედე. ღონეზე მოვედი თუ არა, საფლავები მოვიანხულე. აღარ ჩანდნენ, ქარსა და წვიმას, თოვლსა და ჭუპასა ერთიანად დაემალა ქვეები. მეზობლები მოვიხმარე, გადავასუფთავეთ, ქვეები გამოვაჩინე.

შევცქეროდი წელიწადი მოხრული მოხუც ქალს და ვვცქეროდი: ნუთუ მარტო ის უნდა ზრუნავდეს, რომ ცხრა ძმის საფლავი არ დიკარგოს?

აგერ თბილისის გვერდითაა სოფელი კოლა. აქ დაიბადა ჩვენი სახელგანთქანი მწერალი ვასილ ბარნოვი, აქ გაატარა თავისი ბავშვობის წლები. ნგრევის პირას მისული მისი სახლი ვასილის სიძემ შეაკეთა. თერთი წყაროს კულტურის განყოფილებამ კი მხოლოდ იმით მოხადა ვალი დეაწლმოსილი მწერლის წინაშე, რომ ღობის ძირში ქვა ჩააგდო და რაღაც მიაწერა ზედ.

ეს, ცხადია, საქმარისი არ არის. წარსულის ძეგლების დაცვას მეტი გულისხმობა და მონღომება სჭირდება.

ბ. ხაჩიანიშვილი

თელეთის გაუთავებელ აღმართზე ზღაპრითა და ტაბით მიგოგავდა ავტობუსი, მგზავრები უხალისოდ მასლაათობდნენ. იქ, სადაც პაპიროსის კვამლში გახვეული, პირგაუპარხავი შოფერი იქდა, გრძელი თუნუქის ფირფიტას მრუდე, დამსკდარი ასობით ეწერა „თბილისი-მარნეული“.

რაღაც სასწაულის გამო ავტობუსში ხალვათობა იყო. მესხეთე რიგში იქდა შუახნის, ჭადარაშერეული კაცი; თავის ფიქრში იყო წასული. მერე გვერდით მჯდომ ბიჭს მიუბრუნდა და ჰკითხა:

- სადაური ხარ, ყმაწვილო!
- ტანძელი.
- როგორა სთქვი?
- ტანძია. სოფელაა ასეთი. არ გაგიგონია? — აუწია ბიჭმა ხმას.

— რა დიდ გულზე ხარ, ბიჭო? საიდან უნდა გამეგონოს, პირველად ვარ ამ მხარეში.

— არც სულხან-საბას სახელი გაგიგონია? ეს ხომ საბას სოფელია!

— შენ ბეჩავი ხომ არა გგონივარ... ღმერთო მომკალი, საბა როგორ არ წამივიტხავს, მაგრამ მისი სოფლის სახელი როდი ვიცოდი!

— ზოდა, მეც იქაური ვარ! — ამაყად უპასუხა ბიჭმა.

ამ დროს მოხუცი ქალის ხმა გაისმა!

— შოფერ, შოფერ, არსენას გადასახვევთან გამიჩერე, შემოგვევლოს ბებიია!

— რას ამბობ, ბებო! ვინ არსენაა?! — გაიოცა შოფერმა — აბა, რა ვიცი, დედიქან, აქ ათასი გადასახვევია.

— აგრემც არ ვიყო, ქაა! — დაწვებზე ჩამოიხვია მოხუცმა გამხმარი თითები, — მამ არსენას გადასახვევი არ იცი?...

— არსენა უჩაღზე ლაპარაკობს? — წამოიძახა ვილაკამ.

იმ პატარა ბიჭმა, ტანძელმა, ვეღარ მოითმინა:

— პირში წყალი გამოივლი, მეგობარო უჩაღი კი არა, ვუკაცი იყო ჩვენი არსენა. დიღმა ილიამ რა თქვა იმაზე, არ გახსოვს: „აბა კაციცა ისა უოფლია და ქუდიც ძმავ, მას მხურები, ნეტავ იმ დედას, ვისგან გარდელია და ვისაც ძუძუ უწოვებიაო“. შენ კი უჩაღიო, იმასი!

— გაჩერე, გაჩერე, შვილო აი, დამახსოვრე! მარაბდამდე სამიოდე კილომეტრია; აგერ, იმ მინდორს კი ნაომარს ეძახიან, ცხრა ძმა ხერხეულიძეები აქ დაედნენ ბრძოლის ველზე... ესეც, დაიხსომე, წმინდა ადგილია, შვილო!

— მერე, დედი თუ ასეთი სახელოვანი სოფელია, გადასახვევთან რატომ ნიშანი არა აქვს?..

— რას ჭევა ნიშანი, მიჯნას ხომ არ ჩააგდებენ... აფსუს ბიჭო!..

მოხუცის ამ წამოძახილში იყო რაღაც სიმართლე. საერთოდ, სამხრეთ საქართველოს ისტორიული ძეგლების მოვლას ჩვენ ნაკლებ ყურადღებას ვაქცევთ. აი, თუნდაც ცხრა ძმის საფლავი აიღეთ. ვის არ გაუგონია მათი შესახებ, რამდენი ქართველი ვაჟაკისთვის გამხდარა მისაბაძი მათი ვუკაცური თავ-

# სასოხაროდ უახვედრად

ეს აზრი პირველად ლანჩხუთის რაიონული აქტივის ერთ-ერთ სხდომაზე წამოიჭრა. ყველას მოეწონა იგი და ერთხმად დაუჭირეს მხარი. საქმე ეხებოდა ამ რაიონის ტერიტორიაზე დაბადებულ, თუ აღზარდილ მეცნიერთა და მოღვაწეთა მოწვევას, მათთან შეხვედრებს, საუბრებს, გაცნობასა და უფრო მეტად დაახლოებას. იქვე ისიც აღინიშნა, რომ ამ შეხვედრებს ახალგაზრდობისათვის დიდი აღმზრდელობითი მნიშვნელობა ექნება.

და აი, დიწყო მზადება ამ შეხვედრის მოწყობისათვის. მოსაწვევთა სია თანდათან იზრდებოდა და ივსებოდა.

ძნელია აქ ყველას ჩამოთვლა; სიაში იყვნენ აკადემიკოსები და პროფესორები, მწერლები და რეჟისორები, მხატვრები და კომპოზიტორები, ექიმები, ინჟინრები, აგრონომები, პარტიული მუშაკები, მინისტრები, მათი მოადგილეები, სულ სამას ორმოცდაათამდე კაცი, რომელნიც თავდადებით

იღვწიან ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების, ეკონომიკისა და კულტურის სხვადასხვა უბნებზე.

მოწვევებმა ნელ-ნელა დაიწყეს თავის მოყრა. გაზაფხულის მშვენიერი დარი იყო. სადგურზე პიონერებიც მოვიდნენ ყვავილების თაიგულებით, ლანჩხუთელეზო ქუჩებში გამოეფინენ ძვირფასი სტუმრების შესახვედრად; ეგ. ნინოშვილის სახ. თეატრის შენობაში დიდი საღამო მოეწყო; ხან ქანდარიდან ისმოდა ხასანბეგურა, ხან პარტიკრიდან. ლოქიდან ლანჩხუთელთა შეიდაკა კრიმინალის უკიდებდა, პირველ რიგებში ლანჩხუთელი ქალიშვილები ისხდნენ და მეჩაიეთა სიმღერას მღეროდნენ. წარმოითქვა სიტყვები, მხატვრული განყოფილების დროს ლანჩხუთის რაიონის შვიდი მომღერალთა გუნდი ეჯიბრებოდა ერთმანეთს, პიონერთა სახლის მოცეკვვეთა ანსამბლმა თავისი ხელოვნება გვიჩვენა. მათთან ერთად კონცერტში

მონაწილეობა მიიღეს მოწვეულმა სტუმრებმა: ბ. ამირანაშვილმა, ტ. მახარაძემ, ნ. ტულუშმა, ე. აფხაზავამ.

მეორე დღეს, კვირას სტუმრები რაიონის იმ სოფლებში დანაწილდნენ, საიდანაც იყვნენ. გაიმართა ახალი შეხვედრები, გულთბილი და გულწრფელი.

ეს მარტო საზეიმო კი არა, საქმიანი შეხვედრაც იყო. ჯერ ერთი, შეკრებილი მასალების საფუძველზე შესანიშნავი გამოფენა მოეწყო, რომელმაც დასაბამი მისცა რაიონის მხარეთმცოდნეობის მუზეუმს. ამას გარდა, გადაწყდა ლანჩხუთში დაარსდეს კულტურის სახალხო უნივერსიტეტი. აკად. ვიქტორ კუპრაძემ ლანჩხუთელებს გადასცა თავისი წიგნები, გამოცემული როგორც ჩვენში, ისე უცხოეთში. აკად. ალ. ბარამიძე ლანჩხუთელებს შეპირდა, რომ დაეხმარება მათ მოაწყონ სამეცნიერო სესია რუსთავე-

ლის იუბილის დღეებში. ადიგენის რაიონის მდივანმა ა. მეჭვბოშვილმა ლანჩხუთელებს საჩუქრად მოუტანა რუსთაველის პორტრეტი და დაბატიქა ისინი რუსთაველის სამშობლოში ზეიმის დღეებს დასწრებოდნენ. რეჟისორმა არჩილ ჩხარტიშვილმა ლანჩხუთის სახალხო თეატრზე შეფობა იკისრა და პირობა დასდო კონკრეტულად დახმარებოდა მათ. კომპოზიტორი არჩილ ჩიმაქაძე ახალ სიმღერებს დაჰპირდა მათ, ხელოვნებათმცოდნე შალვა კვასხვაძე ქართველ მხატვართა ახალ სურათებს შეაგროვებს, რომლებსაც უსასყიდლოდ გადასცემს მუზეუმს. სტუდენტმა რ. სარიშვილმა სოფელ მოედანს უნიკალური ბიბლიოთეკა შეუქმნა, რომელიც მოიცავს 300-მდე ქართველი ავტორის წიგნებს, თავიანთივე ფაქსიმილებით.

ეს შეხვედრები დიდხანს ემახსოვრებათ. როგორც მასპინძლებს, ისე სტუმრებს.

გივი გოგიჩაიშვილი



საკუთარი  
ბრძოლა

ტაქიკეთის მთიანი აულის დაგანის მახლობლად ამას წინათ უცნაური შემთხვევა მოხდა: ადგილობრივმა მცხოვრებლებმა ცაში დაინახეს არწივი, რომელიც მძიმედ მოფრინავდა კლდეების გასწვრივ. არწივი კლდეებში პატარა მელა ჰყავდა ჩაბლუჭული, ზურგზე კი... დედა მელა წამოსკდომოდა.

ფრინველთა მეფე ცაში, როგორც იტყვიან, უმალესი. პილოტების იღვთებს ასრულდება, მაგრამ ძუ მელა მაინც ვერ მოეშორებინა ზურგადან. ილაჩგაწყვეტილი არწივი ბოლოს მძიმედ აიჭრა მალა, ორთავე ფრთები დაკეცა და შემდეგ ჭვასავით დაენარცხა კლდეს. არწივი და პატარა მელა დააღუპნენ, დედა მელა კი უვნებლად გადაარჩა.



## ქალაქი ბაღინისაბან

ინგლისი ყოველწლიურად სულ უფრო მწვავედ განიცდის ქალაქის წარმოებისათვის საჭირო ნედლეულის ნაკლებობას. უკანასკნელ ხანებში ინგლისში დამუშავეს ერთწლიანი ბალახისაგან მუყაოსა და ქალაქის მიწების რამდენიმე მეთოდი. ერთ-ერთ ასეთ მეთოდს „სიმონ-კრუსის მეთოდი“ ეწოდა. ამ მეთოდით მიღებული ქალაქი საკმაოდ მაღალი ხარისხისაა. ქალაქის ნაწილს პოლიმერებით უდენთავენ და საქონლის შესაფუთად ხმარობენ, ნაწილი კი პოლიგრაფიაში გამოიყენება. ბალახიდან დამზადებული ქალაქი გამძლეა და მისი ზედაპირი კარგად პრიალებს.

არატეხობა აქვს: მასში შესაძლებელია ჩვენი სურვილისამებრ შევქმნათ მოლეკულების საჭირო სტრუქტურა, მივანიჭოთ მას ახალი თვისებები და ა. შ. მაგალითად, ლატეილმა ქიმიკოსებმა ხელოვნური ნიტროფურანული ანტიბიოტიკების ჭკუფუში შეიყვანეს ფიზიოლოგიური აქტიური შენაერთები, რის შედეგად პრეპარატების ასეთმა შესამებამ უფრო დიდი ეფექტი მოგვცა, ვიდრე ამ პრეპარატების ცალ-ცალკე ხმარებამ.

ავადმყოფობის გამომწვევი ბაქტერიები ასეთ შემთხვევაში ორი მხრიდან განიცდიან შეტევას და მათი დაღუპვა გარდაუვალი ხდება.



## მაგნიტოფონი- დაჩაქი

ერთმა ბრიტანულმა ფირმამ გამოუშვა სპეციალური მაგნიტოფონი-დაჩაქი, რომელიც საიმედო საშუალებაა ჭურღებისაგან თავის დასაცავად. მაგნიტოფონი ჩართულია და გამოსცემს კაცის ხერხედავს, რომელსაც ყოველათ წუთში ემატება ხანმოკლე ხელა. ბოლოს გაისმის ქალის ხმა: „ვიღაც შემოვიდა, ტიპ, ანთე ჩქარა ხინათლი“ რომელი ჭურღის ნერვები გაუძღვებს ამ შეძახილებს ისინი თავზარდაცემულნი გარბიან.

ხელსაწყო რვა საათის განმავლობაში შეუფერხებლად მუშაობს. ამ „ხელოვნურ დაჩაქს“ ინგლისში დიდი წარმატება აქვს.

## ღმრთა თუ სივი წყალი



მაშეკის სახელგანთქმულ რომანში „მამაცი ჯარისკაცის“ შედეგის თავდადასავალი“, სხვათა შორის, ასეთი ამბავია მოთხრობილი: ყაზარმაში ერთ ჯარისკაცს ძალიან ეშინოდა ფრონტზე წასვლისა და სულ იმას ცდილობდა გაციებულყოფა, სურდო, თუნდაც თილტვების ანთება შემყროდა, ტყვიას მაინც ეხა სჯობიაო. და იმ მიზნით, რომ ავად გამხდარიყო, დამით საცვლების ამარა გამოდიოდა თბილი ყაზარმიდან და ფეხშიშველი ჩადგებოდა ხოლმე თოვლში. ერთი თვის შემდეგ სამედიცინო კომისიამ იგი მთელ პოლკში ყველაზე ჯანმრთელ კაცად სცნო და პირველ რიგში უკრეს თავი ფრონტზე.

უნებურმა ვარჯიშმა იგი კაჟივით გამოაწრო.

ჩვენ არ ვიცით წაკითხული აქვს თუ არა მაშეკის სახელგანთქმული რომანი იაპონელ მღვდელს ტაკიმიცუს; ეს კი ცხადია, რომ თავისი მრევლის ჯან-

მრთელობის დასაცავად მანაც წინათ აღწერილ მეთოდს შემოაქოდა. კი-ლა შეატყო, რომ მისი ლოცვა ხალხს სურდოსაგან ვერ არჩენდა, გამოუცხადა მოლოცვლებს — შე ვარ თქვენნი არა მარტო მღვდელი, არამედ მწვრთნელიცო. ყოველ ზამთარს იგი აწუხებს სურდოს საწინააღმდეგო კამპანია. ლოცვის შემდეგ ტაძარში მყოფნი ერთი-მეორეს ვედროებით ასხამენ გაუიწულ წყალს. იქვე ჰყავთ ექიმიც. რომელიც ამოწმებს ვინ რამდენი ვედრო წყალი უნდა „მიიღოს“. შემდეგ იწყება შემშრალების პროცედურა, რაც მთავრდება კოცონთან ცხელი ჩაის სმით.

ზაფხულში ამ მრევლის მოლოცვლენი იცვამენ ზამთრის ყველაზე თბილ ტანსაცმელს, თავიდან ფეხებამდე შეიფუთნებიან და იკრიბებიან სულის შეხუთვამდე გახურებულ პატარა შენობაში; მათი დევნის ასეთია: „სიცხე სიცხის საპირისპიროდ“. როგორც ამბობენ, ამ გამოცდების მოწაწილენი ერთნაირად იტანენ როგორც ძლიერ ყინვებს, ისე საშინელ სიცხეს, ამასთან ინარჩუნებენ მხნეობას, ჯანმრთელობას და შრომისუნარიანობას.



## პრაზიკინის გასაჭირი

ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს აბრამ ლინკოლნს ძლიერ ალიზონებდნენ მოსოვნელები, რომლებიც თბილ ადგილებს ეძებდნენ სახელმწიფო აპარატში.

მათ განაგონად პრეზიდენტი ხშირად ჰყვებოდა ასეთ ამბავს: ერთხელ, რომელიღაც მეფე თურმე სანადიროდ გაემშავდა და სახალისი მინისტრს ჰკითხა, წვიმა იქნება თუ არაო? მინისტრმა უპასუხა — საუკეთესო ამინდია მოსალოდნელიო. მეფეს, რომელიც ამალით გაემგზავრა სანადიროდ, გზაზე სახედარზე შემჭდარი გლეხი შეხვდა. გლეხმა გააფრთხილა მეფე, რომ წვიმა იქნებოდა. მეფეს გაეცინა და გზა განაგრძო. დაიწყეს თუ არა სანადირობა, კოცისპირული წვიმა წამოვიდა და მონადირეები ერთიანად დასველდნენ. სასახლეში დაბრუნებისთანავე მეფემ გაავლო მინისტრი და ბრძანა მოეძებნათ გზად შეხვედრილი გლეხი. „მითხარი, საიდან გაიგე, რომ წვიმა მოვიდოდა?“ — ჰკითხა მეფემ სასახლეში მოსულ გლეხს. „მე კი არა, ჩემმა ვირმა გაიგო, თქვენო ბრწყინვალეობა, — უპასუხა გლეხმა, — წვიმის მოახლოებისას იგი ყურებს წინ წაქცეპტს ხოლმე“. მეფემ გლეხი დაიხსოვა და მისი ვირი მინისტრის ადგილზე დანიშნა.


„ეს იყო მეფის დიდი შეცდომა“ — ამბობდა ლინკოლნი. „რატომ?“ ეკითხებოდნენ მსმენელები. „იმით, რომ იმის შემდეგ ყველა სახედარი თხოვლობს, რომ მას სახელმწიფო თანამდებობა მისცენ“, — მშვიდად დასძინდა ხოლმე პრეზიდენტი.

## ენიკალკი მინერალი



ცნობილი მხატვარი ბაბლო პიკასო მუშაობის დროს იყენებს სპეციალურ მწვანე საღებავს, რომელსაც მეტად იშვიათი მინერალიდან — ვოლკონსკოიტიდან ამზადებენ. ამ მინერალის საბადო მხოლოდ საბჭოთა კავშირშია. პიკასოს თხოვნით ჩვენი ქვეყნიდან მხატვარს საჭირო არაოდნობით უგზავნიან ამ მინერალს.

## ქალაქი და შაქრის პეპერმოზობა



ინგლისელმა ექიმებმა სამკურნალო პრაქტიკაში დაიწყეს სპეციალური შემადგენლობის ქალაქის გამოყენება, რომელიც მათ საშუალებას აძლევს შეუცდომლად დაადგინონ დავადებული თუ არა ადამიანი დიაბეტით. მთელი ანალიზი ერთ წუთზე ნაკლები გრძელდება. დიაგნოზის დასადგენად საჭიროა სპეციალურ კვადრატულ ქალაქზე მოვაკუროთ ერთი წვეთი სისხლი. ქალაქი მაშინვე შეიცვლის ფერს და ამ ფერის მიხედვით შეიძლება გავიგოთ, ავადმყოფობის რომელ სტადიასთან გვაქვს საქმე.



## სინთეზური ბენტონი

რიგის ქიმიურმა კომბინატმა ამას წინათ დაიწყო სინთეზური მენტოლის წარმოება. სინთეზური მენტოლის მიღების მეთოდი კომბინატის მუშაკებმა შეიმუშავეს სინთეზურ და ბუნებრივ სურნელოვან ნივთიერებათა საკავშირო კვლევით ინსტიტუტთან ერთად.

მენტოლი, როგორც ცნობილია, საჭიროა კბილის პასტის, პიტნის კომფრტების, სხვადასხვა სამკურნალო პრეპარატების დასამზადებლად. დღემდე მენტოლის მიღების ერთადერთი ნედლეული — პიტნა იყო; რიგის საწარმო კი ახლა ყოველწლიურად ასეულ კილოგრამ სინთეზურ მენტოლს გამოუშვებს.



## ხალკონაი პენიცილინი

პენიცილინი ადამიანებს ფასდაუდებელი სამსახური გაუწია სხვადასხვა დაავადებებთან ბრძოლაში, მაგრამ ღრთა განმავლობაში ბაქტერიები თანდათან „მიეჩვივნენ“ პენიცილინს და ეს წამალი ყოველთვის ვეღარ ანადგურებს მათ.

ქიმიკოსებმა შესძლეს გაეშიფრათ ამ შესანიშნავი ანტიბიოტიკის სტრუქტურა, რითაც შესაძლებელი გახდა პენიცილინის სინთეზური მეთოდით დამზადება. როგორც გამოიკვია, სინთეზური პენიცილინის მთელი რიგი უპი-

# მ. შ. შ. შ.

## ბუნსუნი

### 3. პაროვი

ავადმყოფი, გასინჯვის შემდეგ, დინჯად იცვამს ტანსაცმელს. ექიმი ზის მაგიდასთან და შეუწყვეტლივ, დაბეჭითებით წერს პაციენტის ავადმყოფობის ისტორიას; ოცი ფართო გვერდი უკვე დაუწერია. ავადმყოფი შეშინებული უყურებს თავის „საქმეს“.

ექიმი (წერის შეუწყვეტლივ) — შეგიძლია ჩაიცვათ!

ავადმყოფი — ჰმ... ექიმო, ნუთუ მე ისე ავად ვარ, რომ... (უჩვენებს ჩანაწერებს).

ექიმი (განაგრძობს წერას) — აჰ! ავადმყოფი (სიმწრის ოფლმა დაასხა) — მაშ ძალიან ცუდად არის საქმე?

ექიმი (წერს) — აჰ! ავადმყოფი — ნუთუ მალე მოგვეღებ?

ექიმი (წერს) — რა თქმა უნდა!

ავადმყოფი — ჩქარა?

ექიმი — ჩქარა, აბა რა...

ავადმყოფი (ღონემობილი დაეცემა სკამზე) — სახლამდე ვერ მივალ-წევ?

ექიმი (წერს) — რა მოგახსენო?

ავადმყოფი (ისინჯავს მაჯას) — ექიმო, მგონი უკვე მეწყება, რას ეძახიან იმას? პო, აგონია... ეჰ! (გადმოეცემა სკამიდან) — მომეხმარეთ (ჩურჩულით), მიშველეთ!

ექიმი — ახლავე, ახლავე! (წერს).

ავადმყოფი (მიმქრალი ხმით) — ჩემი ცოლი მაინც გამომიძახეთ. ან-დეგია საჭირო!

ექიმი — სწორია, საჭიროა!

ავადმყოფი — დაიც მყავს... შეიძლება იმისთვისაც დაგვეძახნა, ექიმო?

ექიმი — ვისთვის დაგვეძახნა? ავადმყოფი — დისთვის დაგვეძახნა-მეთქი.

ექიმი — რათ გინდათ ახლა თქვენ და? ხვალ წახვალთ ნემსის გასაყეთებლად, დღეს კი რა საჭიროა მისი გამოძახება!

ავადმყოფი — ნუთუ მე ხვალამდის... ხვალამდის ვიცოცხლებ?

ექიმი — რათ, რათ?

ავადმყოფი — მე გეუბნებით, არ მინდა უღბანს ვიწვალო... ბარემ ჩქარა გათავდეს ყველაფერი.

ექიმი — რა გათავდეს?

ავადმყოფი — აი ეს... ჩაიბაროს ეს სული უფალმა, როგორც იტყვიან ხოლმე (სლოკინით), ძნელია სიკვდილი, ასე, როცა ახლობლები შორს არიან.

ექიმი — რას მიეღ-მოეღებით, ვინ კვდება აქ?

ავადმყოფი — თქვენ თვითონ არ მითხარიო?

ექიმი — რა გითხარიო?

ავადმყოფი — ის, რომ ჩემი წუთები დათვლილია...

ექიმი — როდის გითხარიო?

ავადმყოფი — აგერ ახლა, წერდით და თან ლაპარაკობდით.

ექიმი — მომისმინეთ, თქვენ შემოილი ხართ, ჩემთან კი არა, ფსიქიატრის კაბინეტში უნდა გაეგზავნეთ.

ავადმყოფი — მაშ ეს აგონია არ არის, არ ვკვდები?

ექიმი — საიდან მოიტანეთ ეს?

ავადმყოფი — აბა, მაშ რას წერდით ამდენ ხანს ჩემს შესახებ.

ექიმი — გეთაყვა, განა მე კი მიხარია, მაგრამ ძალით გვაწერიებენ. ეს წერა აი, აქ არის ამოსული (ყელზე აჩვენებს).

ავადმყოფი — უუჰ, მე კი მეგონა... აბა, მაშ მე წავალ.

ექიმი — მოითმინეთ, მე ახლავე დაგამთავრებ წერას.

ავადმყოფი — სიამოვნებით, ექიმო!

ექიმი ხელახლა წერს, თან ოხრავს და კენესის, ავადმყოფი თანდათან უფრო თამამდება.

ავადმყოფი — პირველად ძალიან კი შემაშინა ამ ექიმმა. მოიცა, ეს რა ემართება? (ექიმი სკამზე დგარდება).

ავადმყოფი — ექიმო, რა დაგემართათ? (ექიმი ხმას არ იღებს).

ავადმყოფი — დახეთ, წერას გადაუტანია. გათავებულა კაცის ექიმო, შეგიძლიათ წამოდგეთ (ექიმი უარის ნიშნად თავს აქნევს).

ავადმყოფი — აი სადამდე მიიყვანენ ხოლმე კაცს ბიუროკრატები... ექიმო, დამეყრდენი, ნუ გეშინია!

ავადმყოფი წამოაყენებს ექიმს, რომელსაც მუხლები აღარ ემორჩილება. დიდი გაჭირვებით მიდიან გასასვლელისაკენ.

ექიმი — ოჰ, ბოლომდე მაინც ვერ დაგამთავრე თქვენი ავადმყოფობის ისტორია...

ავადმყოფი — არაფერია, არაფერია... მაგრამ დადგით იატაკზე ფეხი, აი ასე... ერთ ფეხს რომ დაადგამ, მეორე უნდა ასწიო, ჰაერში... ასე ივლო... მოიცა, ეს ოფლი რათ დამასხა, ვერ მტყვით ექიმო?

ექიმი — თქვენთვის ფიზიკური მუშაობა არ შეიძლებოდა (დაეცა).

ავადმყოფი — იატაკზე რათ წვეები, აღეჭი მამო (დაიხრება, რომ ექიმი წამოაყენოს, მაგრამ თვითონ დაეცემა) — აი მეც...

ექიმი — იქნებ გავცოცდეთ როგორმე? პირველ დანმარებებს მაინც აღმოგვიჩინეს!

ავადმყოფი — ვეცადოთ... (ორივენი მიხობავენ დერეფნისაკენ).

თარგმნილი რუსულიდან



## რეჟისორის ბანსაცელი

ცნობილ ესპანელ რეჟისორს ლუის ბუნსუელს მუშაობა თუქიუქუნს, რომელსაც სახელად პისაროს ეძახოდა. ერთხელ კინორეჟისორმა შინ დაბრუნებისას ველარ გაიგონა პისაროს „ლაპარაკი“. აფორიკებს მთელი სახლი, მაგრამ ფრინველი ვერ იპოვეს. იფიქრეს, ნამდვილად ფანჯრიდან გაფრინდაო, დახურვა დავიწყებოდათ. როგორც ახლობლები მოგვითხრობენ, ბუნსუელს გული დასწყვიტა ფრინველის დაკარგვამ. მაგრამ ამ გრძნობას ერთვოდა შიში იმ შედეგისა, რომელიც შეიძლება პისაროს „პოლიტიკურ ხასიათის ლაპარაკს“ მოჰყოლოდა. საქმე ის იყო, რომ ფრინველი საქმალ მწარედ ავიწებდა ფრანკოს და მის რეჟიმს. გული გაუსკდა რეჟისორს: ვინ იცის სადმე ქუჩაში, ხის ტოტზე ზის პისარო და ავიწებს ფრანკოს. ამიტომ დაუყოვნებლივ ასეთი განცხადება გამოაქვეყნა გაზეთში: „დავებებ მოწითალო ფერის თუთიყუშს, სახელად პისაროს. იცის ლაპარაკი და სტვენა. უნდა შევნიშნო, რომ პისაროს პოლიტიკურ შეხედულებებს მე არ ვიზიარებ. თუთიყუში მაჩუქა ერთ-ერთმა უცხოელმა, რომელმაც დიდი ხანია დატოვა ესპანეთის საზღვრები“.

## ბალისაგან დაჩაბრული

გამოჩენილი ესპანელი მწერალი ბლასკო იბანიესი ერთხელ განცხადებების დაფასთან შეჩერდა. მან ვერ შეძლო ვერც ერთი ბჭარის გარჩევა, რადგან სათვალე სახლში დარჩენოდა. — გეთაყვა, წამიკითხეთ, რა სწერია აქ! — სთხოვა მან გვერდით მდგომ უცნობს. — ბოლიში, — უპასუხა მან. — მეც თქვენსავით ბედისაგან დაჩაბრული ვარ, არც მე ვიცი კითხვა. შეკრება ს. აბულაძემ

გარეკანის პირველ გვერდზე: სამაისო ზეიმზე. ფოტო თ. არჩვაძისა. მეოთხე გვერდზე: ნადირობის შემდეგ.

ფოტო მ. თურქიასი.

რედაქტორი გ. ნატროშვილი. სარედაქციო კოლეგია: ი. გიგინეიშვილი, ს. დურშიშიძე, მ. სააკაშვილი, პ/მგ. მდივანი თ. გოგოლაძე. ი. ტაბალა, ი. ციციშვილი, რ. ჩხეიძე, უ. ჯაფარიძე.

სამ. კვ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა | მხატვარი-რედაქტორი დ. ნოღია. ტექნოლოგიური დ. ხეფიაშვილი. კორექტორი ნ. ქუთათელაძე.


რედაქციის მისამართი: თბილისი, რუსთაველის პრ. № 42, III ხართ. ტელ.—რედაქტორის 9-54-66, პ/მგ. მდივნის—9-82-69, განყოფილებების—3-28-42, 9-01-39

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ. ფასი 30 კაპ.


ბელმოწერილია დაახებულად 5/V-66 წ. გამოცე. № 77, ქალ. ზომა 70x108<sup>1</sup>/<sub>2</sub>. 1,5 ქალ. ფურც. ნაბეჭდი ფურც. 4,11. საავტორო ფორმათა რაოდ. 4,79. პირობით ფორმათა რაოდენობა 4,8. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 4,8. ტირაჟი 26.000. შეკვ. № 1488, უი 03035

Ежемесячный общественно-политический и литературно-художественный журнал „Дроша“ (на грузинском языке) Издательство ЦК КП Грузии.


საქ. კვ ც-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. №14.



პინკა



ბადროს მტყორცნელი




რონკიხოტი

# ბუნება ქანდაკებას

ამბობენ, ბუნება ყველაზე დიდი მხატვარი და მოქანდაკეაო. მართლაც, მის წიაღში რა საოცრებებს არ წააწყდება ადამიანი! რესპუბლიკის სახალხო არტისტი, რუსთაველის თეატრის რეჟისორი მ.ბ. თუმანიშვილი რამდენიმე წელია, რაც მცენარეების იშვიათ ფესვებს და ტოტებს აგროვებს. ამ ფესვებიდან ზოგი მოციკვავებს ჭკავს, ზოგი სავარძელში მიწოლილ ქალ-ზოგი ძალს. ქვემოთ ვებეჭდვთ ამ ფესვების რამდენიმე ფოტოსურათს



მოგზაური





ძაკლი


ბეგბი

სირაქვემა

ქალი სავარძელში



მოციკვავე



48.157/54.

ИНДЕКС 76056

ეროვნული  
ზოოლოგიური

